გაზეთი ბოევრია, „ვეფხვია" ეროვნული

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№59 (1085) 29 – 31 მაისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

125

დაცვის პოლიცია

ფინანსური დარღვევები ენერგეტიკის სამინისტროში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

გვ. 3

„მიშას დაკიდული ბაღი" ნაღგურდება!

გვ. 7

გვ. 5

განხეთქილება ნაციონალებში

დედის წერილს „შეწირული" ქურდი პატიმრის დღიური

როგორ აღმოაჩინა ავტორიტეტმა მშობლების ნაჩუქარ მედალიონში წერილი და რატომ გაიკვეთა „წამლის" დიდი ღობა

გვ. 6

რატომ გათიშეს „ობიექტივი" ცხელებში და ვის ემუქრება დაჭერით დავით თარხან-მოურავი

პატრიოტთა ალიანსის ლიდერი ყველა ბრალდებას პასუხობს

გვ. 4

აფხაზური ენა გადაშენების პირასაა

გვ. 8

რას აკეთებს აფხაზეთის მთავრობა ენის გადასარჩენად

საბანკო ზედამხედველობის სამსახურის შესახებ კანონპროექტმა ეკონომიკის ექსპერტები დააპირისპირა

რატომ დატოვეს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობა დემურ გიორხელიძემ და სანდრო თვალჭრელიძემ

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, პრეზიდენტის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში გიორგი აბაშიშვილი პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობაში ეკონომიკური პროფილის ექსპერტებსა და ანალიტიკოსებს შეხვდა. შეხვედრაზე საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, თამაზ მეჭიაურისა და ამავე კომიტეტის წევრის, ნოდარ ებანოიძის ინიცირებულ კანონპროექტზე იმსჯელეს, რომლითაც ეროვნულ ბანკს საბანკო ზედამხედველობის სამსახური უნდა გამოეყოს. აბაშიშვილის თქმით, ეკონომიკის ექსპერტებს შორის არსებობს კონსენსუსი, რომ ეკონომიკა პოლიტიკისგან თავისუფალი იყოს. მისივე თქმით, ექსპერტები თანხმდებიან, რომ ეროვნულ ბანკთან დაკავშირებით კანონპროექტი ნაჩქარევად მომზადდა. ანალიტიკოსმა დემურ გიორხელიძემ და ექსპერტმა ალექსანდრე თვალჭრელიძემ შეხვედრა დასრულებამდე დატოვეს.

„ვერსიასთან“ საუბრისას, **დემურ გიორხელიძემ** აღნიშნა, რომ ამ შეხვედრაზე საქმიანი განხილვის ნაცვლად, ცალკეულმა ექსპერტებმა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ნაციონალური მოძრაობის პოზიციები და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე დაიცვეს. ამიტომ, ეს შეხვედრა დატოვა: **„შეხვედრაზე ვიმსჯელეთ, როგორ განვითარდება მოვლენები იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი ეროვნული ბანკის შემადგენლობიდან საბანკო ზედამხედველობის სამსახურის გამოყოფის შესახებ კანონს მიიღებს. პრობლემა არსებობს, ეროვნული ბანკი, მისი დღევანდელი ხელმძღვანელების გამო, საბანკო ზედამხედველობის ფუნქციას არ ასრულებს და ბანკები უკვე მონსტრ სტრუქტურებად გადაიქცნენ, რომლებიც ეკონომიკის განვითარებას სერიოზულად უშლიან ხელს. ბანკების რეგულაცია და ზედამხედველობა აუცილებელია, თუმცა რაკი ეროვნული ბანკის ამჟამინდელი ხელმძღვანელების შემადგენლობაში ასეთი სურვილი არ არსებობს, ეროვნული ბანკის შესუსტებისა და მისგან ამ სამსახურის გამოყოფის იდეა გაჩნდა. მთავარი, საბანკო ზედამხედველობის სამსახურის მდებარეობა კი არა, პოლიტიკური ნებაა! თუ ხელისუფლების პოლიტიკური ნება იქნება, შესანიშნავად შეიძლებოდა, ეს ფუნქცია ეროვნულ ბანკს შეესრულებინა. თუმცა ვინაიდან ეროვნული ბანკი ამ ფუნქციას არ ასრულებს, საბანკო ზედამხედველობის სამსახური მისგან დამოუკიდებლადაც იარსებებს. პრობლემა ის არის, რამდენად მივდივართ ინსტიტუტების მშენებლობაზე და არა ის, რომ გიორგი ქადაგიძის გამო, ეროვნული ბანკის სტრუქტურა დავაზიანოთ. აი, ასეთ სერიოზულ მსჯელობას ესწრებოდა ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, რომლებიც ქადაგიძისა და ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგიის დაცვას ცდილობდნენ. ჩემთვის ეს გარემო მიუღებელია და შეხვედრა ამიტომ დავტოვე“.**

დემურ გიორხელიძის განცხადებით, მართალია, მეჭიაური-ებანოიძის კანონპროექტი იდეალური და კარგი არ არის, მაგრამ თუ საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, ამ კანონპროექტს ვეტოს ხისტად დაადებს, დაზარალდება. გიორხელიძის მოსაზრებით, ვინაიდან ბანკების მიმართ, საზოგადოების ნაწილს ნეგატიური განწყობა აქვს, უმჯობესი იქნება, თუ პრეზიდენტი დეტალურად ანონ-დაწონის ვითარებას: **„იმისთვის, რომ პრეზიდენტი ჩიხში არ აღმოჩნდეს და სწორი გადაწყვეტილება მიიღოს, ვეტოს გადაწყვეტილება ნაჩქარევად არ უნდა მიიღოს. აშკარაა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა ამ კანონს მიიღებს, რაც პრეზიდენტს ცუდ მდგომარეობაში ჩააყენებს. მეორე მხრივ, რაკი ქვეყნის პერსპექტივებზე ვსაუბრობთ, ხელისუფლებას შევთავაზოთ, ეროვნული ბანკის მოდერნიზაციის კონცეფცია შეიმუშაოს და არა ეპიზოდური კანონპროექტი. სწორედ საერთო კონცეფციაში შევძლებდით მოვძებნოთ სწორი ადგილები და თუ რამე არასწორად მოგვეჩვენებოდა, კრიტიკულ შეხედულებებსაც გამოვხატავდით. ვფიქრობ, ეს იქნებოდა პოლიტიკურად სწორი ნაბიჯი და არა დაპირისპირება საკანონმდებლო და პრეზიდენტის სახელისუფლებო შტოებს შორის, რადგან ამ დაპირისპირებაში მოგებული არავინ დარჩება“.**

ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში, **სანდრო თვალჭრელიძემ** „ვერსიას“ განუცხადა, რომ შეხვედრა იმ დაპირისპირების გამო დატოვა, რომელიც ცალკეულ ექსპერტებს შორის გაიმართა. მისი თქმით, ასეთ გარემოში შეხვედრის გაგრძელება მიუღებელი იყო: **„ასეთი მაღალი კვალიფიკაციის ექსპერტებს საკუთარი ემოციების მოთოკვა უნდა შეეძლოთ. რაც შეეხება კანონპროექტს, რომლითაც ეროვნულ ბანკს საბანკო ზედამხედველობის სამსახური უნდა გამოეყოს, ცალსახად ვთვლი, რომ საქართველოს ორგანული კანონი ეროვნული ბანკის შესახებ, ცუდია. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე აბსოლუტურად მართალია, როდესაც აცხადებს, რომ კანონს არ არღვევს, მაგრამ ამავდროულად, ზიანს აყენებს საქართველოს, ამიტომ ეროვნული ბანკის შესახებ კანონმდებლობა უნდა გადაიხედოს, მაგრამ არა ასეთი, უსუსური გზით. დიახ, ეროვნული ბანკი ჩვენი ფინანსური სექტორის მაკონტროლებელია, მაგრამ მას არავინ აკონტროლებს და იმას აკეთებს, რაც უნდა. ამის მაგალითია თუნდაც ის ფაქტი, როდესაც ქადაგიძე, ბიძინა ივანიშვილის ქართუ ბანკს უბოდიშოდ აკოტრებდა“.**

რაც შეეხება მეჭიაური-ებანოიძის კანონპროექტს, სანდრო თვალჭრელიძემ „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ეს საკითხი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სპეციალისტებმა უნდა განიხილონ და სწორი გადაწყვეტილება მიიღონ. თუმცა ექსპერტს მიაჩნია, რომ ამ მიმართულებით, საკმაოდ სერიოზული და ხისტი ზომებია მისაღები, რადგან, მისი თქმით, საქართველოში კომერციული ბანკები გამდიდრდნენ, ხოლო ხალხი გაღარიბდა.

დაღუპული პოლიციელის ოჯახი ნაჩუქარ ბინაში გადავიდა

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციელის — გიორგი ბერუაშვილის ოჯახის წევრები იმ ბინაში მივიდნენ, რომლის გასაღები შს მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა მათ პირადად გადასცა. გასაღების გადასაცემად მინისტრი პოლიციელის ოჯახის წევრებს, გიორგი ბერუაშვილის სახელობის სკვერისა და მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალის გახსნის ცერემონიაზე შეხვდა. კეთილმოწყობილი, საჭირო ავეჯითა და ტექნიკით აღჭურვილი საცხოვრებელი ბინა თბილისში, დიდ დიღომში მდებარეობს.

„ვერსიანიუსი“

ტურისტების მოსაზიდად საერთაშორისო კამპანია დაიწყო

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია სხვადასხვა ფორმით, საქართველოს ტურისტული პოტენციალის წარმოჩენასა და მრავალმილიონიანი აუდიტორიისათვის შეთავაზებაზე აქტიურად მუშაობს. საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის თავმჯდომარის, გიორგი ჩოგოვაძის განცხადებით, რამდენიმე ქვეყნის ყველაზე ცნობილი მედიასაშუალებების მეშვეობით საქართველო აქტიურად შუქდება: **„ეს არის ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის აქტივობები. მათ შორის, სარეკლამო კამპანიები 9 ქვეყანაში. ასევე საერთაშორისო სარეკლამო კამპანიები ისეთი ცნობილი მედიასაშუალებებით, როგორიც გახლავთ „სი-ენ-ენი“ და „ევრონიუსი“. „ევრონიუსზე“ 21 კვირის განმავლობაში იტრიალებს როგორც საქართველოს საიმიჯო კლიპი, ასევე საქართველოში სპეციალურად ტურისტების მოსაზიდად გადაღებული 4 გადაცემა და კოლაჟური სარეკლამო მინი კლიპები“.**

ტურიზმის ადმინისტრაცია, ტურიზმის წახალისების კუთხით, ქვეყნის შიგნითაც აქტიურად მუშაობს: **„აქტიურად ვმუშაობთ, რომ შიდატურიზმი წავახალისოთ და ამისთვის ახალი მარკეტინგული კამპანია — „გაიცანი საქართველო“ წამოვიწყეთ. კამპანიის შინაარსი და მთავარი მიზანია, მოქალაქეებმა უკეთ გაიცნონ საკუთარი ქვეყანა“.**

ჩოგოვაძის განმარტებით, რამდენიმე რეგიონში უკვე ტურისტების მატება შეიმჩნევა. მისი ვარაუდით, ზღვის სეზონის გახსნასთან ერთად, ტურისტების რიცხვი, უფრო გაიზრდება. საქართველოს მიმართ ყველაზე მეტი ინტერესი მეზობელი ქვეყნების მოქალაქეებს აქვთ: **„ყველაზე მეტი ტურისტი ზაფხულში ჩამოდის. ტურისტების ნაკადის შემოსვლა უკვე დაწყებულია. მაგალითად, კახეთში, ყაზბეგში. ახალციხეში. სვანეთში, თუშეთსა და ხევსურეთში სეზონი ცოტა გვიან დაიწყება. ზღვის კურორტებზე სეზონი ივნის-ივლისიდან იწყება და სექტემბრის ბოლომდე გრძელდება. საქართველოს, განსაკუთრებით შავი ზღვისპირა რეგიონში, ბევრი სასტუმრო ემატება. მნიშვნელოვანია, რომ, 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების გარდა, 4 და 3-ვარსკვლავიანი და საოჯახო სასტუმროებიც იხსნება, რაც ტურისტებს არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება“.**

„პირველი“

უბედურ შემთხვევას ხულოში 43 წლის მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა

შემთხვევა ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ განახლებაში მოხდა. საკუთარი მიწის ნაკვეთის დამუშავების დროს, მამაკაცი მოტობლოკმა ჩაითრია.

„მამაკაცი საკუთარ მიწის ნაკვეთს ამუშავებდა, როდესაც მექანიზმმა ჩაითრია. სასწრაფო დახმარების ბრიგადა დროზე მოვიდა, თუმცა იგი უკვე გარდაცვლილი იყო“, — აცხადებს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი ბესიკ ბაუჩაძე.

ბაუჩაძის განცხადებით, სოფელში მექანიზატორით ადამიანის დაზიანების შემთხვევა ადრეც ყოფილა, თუმცა ეს გარდაცვალების მიზეზი არ გამხდარა.

„პირველი“

აღმაშენებლის გამზირზე მოძრაობა ორი კვირით შეიზღუდება

ჩუღურეთის რაიონში, ინფრასტრუქტურული სამუშაოების გამო, ჭოროხის ქუჩიდან ზაარბრუკენის მოედნამდე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა 2 კვირით, 10:00-დან 18:00 საათამდე შეიზღუდება.

შეზღუდვა არ შეეხება საზოგადოებრივ ტრანსპორტს, რომელიც ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს მოძრაობას. დავით აღმაშენებლის გამზირზე საფეხმავლო გზისა და ბორდიურების შეკეთება მიმდინარეობს.

2 500 კვ. მეტრის ფართობის საფეხმავლო გზისა და ბორდიურების შეკეთებას შპს „დრო“ აწარმოებს. პროექტის ღირებულება 60 ათას ლარს შეადგენს. ჩუღურეთის რაიონში, 2015 წლის საბიუჯეტო ასიგნებებით, გზებისა და შიდაეზოების მოასფალტებისთვის 2 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

„პირველი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ფინანსური დარღვევები ენერგეტიკის სამინისტროში



სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო შეამოწმა. სახელმწიფო აუდიტორებს ვიცე-პრემიერის, კახა კალაძის უწყებაში ისეთი დარღვევა არ აღმოუჩენიათ, რის გამოც დასკვნას მთავარ პროკურატურაში გადაგზავნიდნენ. „ვერსიას“ აუდიტის სახელმწიფო სამსახურში განუმარტეს, რომ შემოწმების დროს ენერგეტიკის სამინისტროში, ძირითადად, ფინანსური დარღვევები აღმოჩნდა, რომელთა გამოსწორებაც შესაძლებელია. 2014 წლის განმავლობაში, ენერგეტიკის სამინისტროს საშტატო ნუსხით დამტკიცებული თანამშრომელთა რაოდენობა სრულად დაკომპლექტებული არ ყოფილა და წლის განმავლობაში, 23 ვაკანტური თანამდებობიდან, არც ერთ მათგანზე კონკურსი არ გამოცხადებულა. შედეგად, ენერგეტიკის სამინისტრომ შრომის ანაზღაურების მუხლში 28 440 ლარი დაზოგა, რის ხარჯზეც, პრემიები და სახელფასო დანამატები გასცა.

დარღვევები ენერგეტიკის სამინისტროში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს კონსოლიდირებული ბუღალტრული ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა, რომელიც მოიცავს ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ამ ანგარიშში ასახულია ინფორმაცია, რომელიც ხარჯებს, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციებს, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციებს, წმინდა ღირებულებებს, ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ სახსრებს, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლას, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივების, ასევე ვალდებულებების ცვლილებებსა და არაფინანსური აქტივების ანალიზურ აღრიცხვას ეხება.

ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს შიდაკონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო და საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) „საქართველოს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო“, განთავსებულია თბილისში, სანაპიროს ქ. №2-ში (იუსტიციის სახლის შენობა). სამინისტროს დაკავებული აქვს 2.388 კვადრატული მეტრი, ხოლო სააგენტოს 276 კვ.მ იმის გამო, რომ იუსტიციის სახლის შენობა ექსპლოატაციაში მიღებული არ არის, საჯარო რეესტრის ამონაწერში სამინისტროსა და სააგენტოს სარგებლობის უფლება ამ ქონებაზე არ ფიქსირდება. მეტიც, მათ ბალანსებზე შენობის ღირებულება ასახული არ არის.

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ 2014 წლის 29 აგვისტოს, შპს „ქეიჯი ენერჯისგან“ ენერგეტიკის სამინისტროს უსასყიდლოდ გადაეცა „ბახვი 1-2“ ჰესისა და „ბახვი 5“ ჰესის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების ამსახველი დოკუმენტაცია, რომლის ჯამური ღირებულება 2 808 622 ლარია. ეს დოკუმენტაცია სამინისტროს ბალანსზე აისახა არამატერიალური ძირითადი აქტივის ანგარიშზე, არადა მარაგის ანგარიშზე უნდა ასახულიყო. შესაბამისად, მასზე დარიცხულია ძირითადი კაპიტალის მოხმარება ისტორიული ღირებულების 1%-ის ოდენობით, რაც 28 086 ლარია. სამინისტრო ამ აქტივს არ იყენებს და ვერ აკმაყოფილებს ძირითად აქტივად აღიარებისთვის ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტები ასკვნიან, რომ ამ აქტივს ცვეთა არ უნდა დაერიცხოს. ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ხარჯების შესახებ ანგარიშში, ანუ „ფორმა №2“-ში, ძირითადი კაპიტალის მოხმარება არამართებულად, 28 086 ლარითაა გაზრდილი.

დარღვევები ბუღალტრულ აღრიცხვაში

2014 წლის 1 მაისს, ენერგეტიკის სამინისტროს, სს „საპარტნიორო ფონდმა“ უსასყიდლოდ გადასცა ონის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და აქტივები, რომლის ჯამური ღირებულება 3 122 486 ლარია. აღნიშნული ოპერაცია სამინისტროს ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახულია, როგორც პირდაპირ წმინდა ღირებულებისა და ძირითადი აქტივების ზრდის სახით.

ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით, ძირითადი აქტივების უსასყიდლოდ მიღება აისახება ძირითადი აქტივების შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და გრანტების ან სხვა შემოსავლების ანგარიშების კრედიტში, ხოლო ერთი დონის სახელმწიფო ერთეულების შემთხვევაში – წმინდა ღირებულების ანგარიშის კრედიტში. იქიდან გამომდინარე, რომ სამინისტრო და სს „საპარტნიორო ფონდი“ ერთი დონის სახელმწიფო ერთეულებს არ წარმოადგენენ, სახელმწიფო აუდიტების დასკვნით, აღნიშნული ტრანზაქცია უნდა ასახულიყო ძირითადი აქტივების შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და გრანტების ან სხვა შემოსავლების ანგარიშების კრედიტში.

დარღვევები შრომის ანაზღაურებაში

2014 წლის განმავლობაში, ენერგეტიკის სამინისტროს საშტატო ნუსხით დამტკიცებული თანამშრომელთა რაოდენობა სრულად დაკომპლექტებული არ ყოფილა და 23 ვაკანტური თანამდებობიდან, წლის განმავლობაში არც ერთ მათგანზე კონკურსი არ გამოცხადებულა. შედეგად, შრომის ანაზღაურების მუხლში 280 440 ლარის ეკონომია დაგროვდა, რის ხარჯზეც ენერგეტიკის სამინისტრომ პრემიები და სახელფასო დანამატები გასცა.

2014 წლის განმავლობაში, როგორც სამინისტროს, ასევე სააგენტოს თანამშრომლები, ყოველთვიურად, შრომის ანაზღაურებას პრემიის სახით, 2014 წლის ივნისის ჩათვლით იღებდნენ. არადა, მთავრობის დადგენილებით, საბიუჯეტო ორგანიზაციებში ამ პერიოდულობით პრემიების გაცემა შეიზღუდა. თუმცა, როგორც ენერგეტიკის სამინისტრომ, ასევე „საქართველოს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტომ“, 2014 წლის ივლისშივე გამოსცეს ბრძანებები სახელფასო დანამატების დამტკიცების შესახებ, რომლითაც თანამშრომლებზე გაცემულმა დანამატებმა იგივე ციფრი — 280 440 ლარი შეადგინა, რაც მანამდე პრემიების სახით გაიცემოდა.

სახელმწიფო აუდიტორების დასკვნით, 2014 წლის პირველ ორ კვარტალში, პრემიის სახით, ენერგეტიკის სამინისტროს თანამშრომლებზე 412 975 ლარი, ხოლო ბოლო ორ კვარტალში დანამატის სახით — 451 890 ლარი გაიცა. ანალოგიურად, სსიპ „საქართველოს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს“ თანამშრომლებზე პრემიის სახით, პირველ ორ კვარტალში 124 045, ხოლო დანამატის სახით, ბოლო ორ კვარტალში 101 080 ლარი გაიცა.

2014 წლის განმავლობაში, ენერგეტიკის სამინისტროსა და სააგენტოს თანამშრომლებზე გაცემული პრემიები და დანამატები რომ დავაჯამოთ, გამოდის, რომ მთლიანობაში, ამ მიზნით, კახა კალაძის უწყებაში 1 650 870 ლარი დაიხარჯა. რაც მთავარია, ენერგეტიკის სამინისტროსა და სააგენტოს თანამშრომლებმა სახელფასო დანამატების დანიშვნის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტორებს შესაბამისი დოკუმენტი ვერ წარუდგინეს.

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტთან შესაბამისობა

2014 წლის მარტსა და აპრილში, სსიპ „სახელმწიფო ნავთობისა და გაზის სააგენტოს“ შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა 6 თანამშრომელს შეადგენდა. შესაბამისად, დარღვეულია საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი, რომლითაც საბიუჯეტო ორგანიზაციაში შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საშტატო რაოდენობის 2%-ს, ხოლო იმ ორგანიზაციებში, სადაც საშტატო რაოდენობის 2%, 5 ერთეულზე ნაკლებია, ხელშეკრულების თანახმად, დაქირავებულთა რაოდენობა 5 ერთეულს არ უნდა აღემატებოდეს.

რაც შეეხება სახელმწიფო შესყიდვებს, 2014 წლის განმავლობაში, სამინისტროს მიერ განხორციელებული 269 შესყიდვის ჯამური სახელშეკრულებო თანხა 3 591 398, ხოლო საკასო ხარჯი 3 128 348 ლარი იყო. საყურადღებოა, რომ სამინისტროს მიერ, 2014 წლის განმავლობაში, სახელმწიფო შესყიდვებზე, ავანსად 1 491 929 ლარი გაიცა, საიდანაც 3 240 ლარი პირველ კვარტალში გაიდაიხადეს, ხოლო დარჩენილი 1 488 689 ლარი, სამშენებლო სამუშაოებისთვის მეოთხე კვარტალში გასცეს ავანსად.

სახელმწიფო საწარმოებზე გაცემული სესხების აღრიცხვა

2014 წლის განმავლობაში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო 168 660 109 ლარით დაფინანსდა. მთლიანი ასიგნებებიდან, 56 176 515 ლარი, საშინაო სესხების სახით, ფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან გაიხარჯა. სესხები საქართველოს მიერ აღებული საგარეო ვალებიდან გაიცა, უფრო ზუსტად, ფინანსთა სამინისტრომ საგარეო ვალი შპს „ენგურჰესსა“ და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაზე“ გადაასესხა. ამ სესხებიდან 17 088 610 ლარი, შპს „ენგურჰესმა“ ენერგეტიკის სამინისტროს სახაზინო ანგარიშის გავლით მიიღო, დანარჩენი 39 087 905 ლარი — უშუალოდ შპს „ენგურჰესისა“ და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საბანკო ანგარიშებზე ჩარიცხეს.

სახელმწიფო აუდიტორების დასკვნის მიხედვით, აღნიშნული სესხები ენერგეტიკის სამინისტროს ბალანსზე აქტივის სახით არ ასახულა. ამ თანხებით, შესაბამის ანგარიშებთან კორესპონდენციით, წმინდა ღირებულება შემცირდა. აღსანიშნავია ისიც, რომ კონკრეტულად ეს სესხები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბალანსზეც არ ასახულა.

ვერსიანიუსი

საქართველოს ენერგოსექტორში მსხვილი ინვესტიცია განხორციელდება

ისრაელის ცნობილი კომპანია „პეგასუსი“ და უმსხვილესი ჩინური კომპანია CEFC საქართველოს ენერგოსექტორში ინვესტიციის განხორციელებას გეგმავენ. ინვესტირებასთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს. მსხვილ ინვესტორებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ეკონომიკური საბჭოს მდივან, ბიზნესომბუდსმენ გიორგი გახარიასთან ერთად შეხვდა. შეხვედრას ისრაელში მოღვაწე ბიზნესმენი, მიხეილ მირილაშვილი, კომპანია Pegasus East West-ის თავმჯდომარე რაფი კამინერი და კომპანია CEFC-ის წარმომადგენლები დაესწრნენ.

„პირველი“

შვეიცარიის საელჩო მუშახელის მოძიებასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას არ აღასტურებს

საქართველოში შვეიცარიის საელჩოს ცნობით, ინფორმაცია, თითქოს შვეიცარია აქტიურად ახდენს მუშახელის მოძიებას შვეიცარიაში სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმების მიზნით, სინამდვილეს არ შეესაბამება: **„ბოლო დროს საქართველოს საინფორმაციო წყაროებსა და სოციალურ ქსელებში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოსდა შვეიცარია აქტიურად ახდენს მუშახელის მოძიებას შვეიცარიაში სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმების მიზნით. ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. საქმე ისაა, რომ შვეიცარიის ფერმერთა კავშირი და მიგრაციის სახელმწიფო სამსახური ახორციელებენ მცირე საპილოტო პროექტს, რათა დადგინდეს, თუ რამდენად შესაძლებელია შვეიცარიაში უკვე მცხოვრები და ლტოლვილის სტატუსის მქონე პირების დასაქმება სოფლის მეურნეობის დარგში“.**

საელჩოს ცნობით, საქართველოს მოქალაქეებისათვის შვეიცარიაში შესვლისა და იქ ყოფნის რეგულაციები უცვლელი რჩება.

bpn.ge

რატომ გათიშეს „ობიექტივი“ ციხეებში და ვის ემუქრება დაჭერით დავით თარხან-მოურავი

ნინო კომახიძე
599-95-33-16

საქართველოს პატრიოტთა ალიანსის თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავი „ვერსიის“ რესპონდენტი პირველადაა. თუმცა მისი ინტერვიუები ხშირად არც სხვა მედიასაშუალებებში შეგხვდებათ. სვანურ-მეგრული რამდენიმედღიანი შეხვედრებიდან დაბრუნებული პოლიტიკოსი საკუთარ აზრს ნაციონალურ მოძრაობასა და „ოცნებაზე“ ექსკლუზიურად გვიზიარებს და ყველა ბრალდებას პასუხობს, რაც პარტიის წინააღმდეგ მისი დაარსების დღიდან გვესმის.

პატრიოტთა ალიანსის ლიდერი ყველა ბრალდებას პასუხობს

— რეგიონებში სიარული სვანეთიდან დავიწყეთ. მესტიასა და რამდენიმე სოფელში ვიყავით, მოსახლეობას შევხვდით და კმაყოფილიც დავრჩი. მიხარია, რომ სვანეთში პატრიოტული სულისკვეთება მკაფიოდაა გამოხატული. შემდეგ სამეგრელოში ჩავედით. ეს ჩვენი პირველი ჩასვლა იყო ზუგდიდში. სამუშაო შეხვედრებიც გვქონდა და ბევრი კითხვაც მივიღეთ. ვფიქრობ, შემოდგომისთვის, იქ მძლავრი მოძრაობის დაფუძნებას შევძლებთ.

— ანუ ეს შეხვედრები წინასაარჩევნო სამზადისია?

— ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას, როცა რეგიონში გადის, ერთადერთი მიზანი აქვს: ცნობადობა გაზარდოს, ამომრჩეველს პირისპირ ესაუბროს და ადგილზე მოსინჯოს საკუთარი შესაძლებლობები. კიდევ ჩავალთ სვანეთსა და სამეგრელოში, გვინდა, ყველგან ძლიერი ორგანიზაციები გვქონდეს. ჩვენი მთავარი მიზანია, ყველა რეგიონში გავიმარჯვოთ. სვანეთში ამის დიდი იმედი მაქვს, სამეგრელოზე კი არ ვიცი, ის აზრი ვინ ჩამოაყალიბა, რომ ნაციონალები იქ ყველაზე მყარად არიან. ასე არ ვფიქრობთ, გვსურს, ეს მითი დავანგრიოთ და სექტემბრიდან უფრო აქტიური მუშაობა დავიწყოთ. ხალხი პატრიოტიზმს იქაც ითხოვს. ადამიანებს ისეთი პოლიტიკოსები მოენატრათ, ვისთვისაც მთავარი საქართველო და ქართული ინტერესებია.

— ხშირად ამას რუსეთუმეობაში ურევენ. სხვათა შორის, ეს ერთ-ერთი უპირველესი ბრალდებაა პატრიოტთა ალიანსის მიმართ.

— იმით დავიწყოთ, რომ ამას ნაციონალების გარდა არავინ ამბობს. ასე ნაციონალების ყველა მხარდამჭერიც კი არ ფიქრობს, მხოლოდ მათი ლიდერები ფიქრობენ, უფრო ზუსტად კი, ასე იტყუებიან. ამ ხალხმა მთელი ცხოვრება ტყუილსა და იარლიყების მიკერებაზე ააგო. ცდილობდნენ, ჩვენთვის პრორუსის იარლიყი მოეკერებინათ, თუმცა არ გამოვიდა, რადგან მოსკოვში არასოდეს ვყოფილვართ და არანაირი კონტაქტი არც გვქონია და არც გვიძებნია. ისიც გაირკვა, რომ ამერიკაში იმაზე არანაკლები კონტაქტი გვაქვს, ვიდრე ნაციონალებს და არც მათზე ნაკლებ სენატორსა და გავლენიან პირს ვიცნობთ. არც ჩვენი გამოსვლები და ლოზუნგებია პრორუსული. ამ ჭორმა ფეხი ვერ მოიკიდა, ამიტომ ახლა ახალი თეორიაა გააჩინეს, რომ ყველაფერი ქართული ანტიდასავლურს ნიშნავს. ამ ახალი იდიოტობის არსი საერთოდ ვერ გავიგე. ამ სისულელეებს კი ნაციონალები მუდმივად აქეთ-იქეთ აფრქვევენ.

— ერთი საინტერესო განცხადება გაქვთ — ამერიკა უნდა გახდეს ნომერპირველი მოკავშირე რუსეთთან ურთიერთობაშიო. ამას პრაქტიკაში როგორ ხედავთ?

— ურთიერთობა ამერიკასთანაც უნდა მოვაწესრიგოთ და რუსეთთანაც. ორივე მხარესთან საუბრისას საკითხები ისე უნდა დავაყენოთ, როგორც ჩვენს ინტერესებს სჭირდება. რუსეთს ბევრი ინტერესი აქვს ჩვენთან მიმართებაში ისევე, როგორც ამერიკას და ხშირ შემთხვევაში, მათი ინტერესები იკვეთება კიდეც. თანაც ახლა ერთმანეთთან საუბარი ორივეს სურს. საქართველოს შეუძლია, მათი დიალოგის პლაცდარმი გახდეს და აქედან სარგებელი ჩვენც ვნახოთ. რა დასამალია, რომ არსებობს ინტერესები სამხედრო, ენერგეტიკის, საზღვაო პორტების სფეროში. მთავრობა სწორედ ამ მიმართულებით უნდა მუშაობდეს. ჩვენ ამას სიამოვნებით გავაკეთებთ და ძალიან აქტიურად ვიმუშავებთ ევროპასა და ამერიკაში, რუსეთთან კი ჩვენი მთავარი მოთხოვნა სწორედ ტერიტორიების დაბრუნება იქნება. თუმცა ამის ნაცვლად, ამ თემებზე საუბრისას სრული ავადმყოფური ისტერიკაა, ნაციონალური მოძრაობა კი ყველას კვლავ უაზრო კლიშეებს აწებებს. თანაც, არავითარ შემთხვევაში არ იფიქროთ, რომ ნაციონალურ მოძრაობას მხარს მოსახლეობის ერთი მესამედი უჭერს. ეს მითი და ტყუილია.

— ჯერ თქვენს პარტიაზე არსებული მითები დავასრულოთ— თქვენ ხართ არა „ოცნების“ ოპოზიცია, არამედ მათი პერსონალური ქმმ, ანუ სატელიტი, რომელიც რეალურ დაპირისპირებაში „ოცნებასთან“ არ შედის. სხვათა შორის, ხშირად ბურჯანაძესთან ერთადაც მოგიაზრებენ.

— ნამდვილად ვიცი, რომ ამასაც ნაცმოძრაობა ამბობს. რაც ყველაზე საინტერესოა, ამ აზრისადმი აგრესია სულაც არ მაქვს და გეტყვით რატომაც: როცა ხელისუფლებაში ნაციონალები იყვნენ, მაშინ ჩვენი მიზანი დამნაშავე რეჟიმის მარტო ჩამოგდება კი არა, დასჯა და ციხეში ჩასმა იყო. დღეს სხვა ხელისუფლებაა, რომლის რიგებში, ბუნებრივია, ბევრი მეგობარი გვყავს, რადგან ქუჩაში 9 წელი ვიდექით ერთად და ჩვენს შორის ადამიანური ურთიერთობები არსებობს. თან, დღემდე ისეთი დანაშაული არ ჩაუდენიათ, რომ მათ ციხეში ჩასმას ვითხოვდე. თუმცა ამ ხელისუფლებას უმწვავესად ვაკრიტიკებ.

— რა საკითხებში აკრიტიკებთ, ჩამომითვალეთ?

— ძალიან გაბრაზებული ვარ იმის გამო, რომ „ოცნება“ არ სჯის მიხეილ სააკაშვილს. მიმაჩნია, რომ ამის გამო ხელისუფლებაა შესაცვლელი. მეორე, რის გამოც ვაკრიტიკებ, ისაა, რომ ისინი ძალიან ცუდად მუშაობენ დასავლეთში — სახელი საკუთარ თავსაც საშინლად გაუტეხეს და ქვეყანასაც. მესამე პრობლემა ისაა, რომ „ოცნება“ უუნარო ხელისუფლებაა და ხალხმა სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებში შვება ვერ იგრძნო. თუმცა ეს ის პუნქტებია, რომელთა გამოც მათ შეცვლას ვითხოვ და არა დაპატიმრებას. მათ ნაცვლად მე უნდა მოვიდე ხელისუფლებაში და ვაჩვენო, საქმე როგორ კეთდება. ოღონდ ეს არჩევნებით უნდა მოხდეს და ჩვენ ისევ მეგობრებად უნდა დავრჩეთ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მათი სატელიტები ვართ — ჩვენ მათ ფარულად კი არ ვექვემდებარებით, ღიად ვამბობ, რომ რაღაც საკითხებში ხელისუფლების მოკავშირეები ვართ, რაღაც საკითხებში კი მწვავედ ვუპირისპირდებით. სხვათა შორის, ჩვენსა და „ოცნებას“ შორის წინააღმდეგობის ახალი კერა სწორედ ამ ორი დღის წინ გაჩნდა — მიხეილ სააკაშვილს არ უკადრია ის, რაც „ოცნებამ“ იკადრა — ციხეებში „ობიექტივი“ გაითიშა, არადა, ციხეებში ყველაზე პოპულარული იყო.

— ეს როდინდელი ამბავია ან რატომ გაითიშა?

— ახალ ამბავს გეუბნებით, ჩვენც ახლახან შევიტყვეთ და სასწრაფოდ მოვითხოვთ, ეს პრობლემა გამოსწორდეს! ასეთ საკითხებში „ოცნების“ მოკავშირეები ვერ ვიქნებით. ასევე, „ოცნებას“ სასტიკად ვეწინააღმდეგებით საყდრისის თემაზეც და ღიად ვამბობ, რომ, როცა ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში, რამდენიმე კაცი დაისჯება და შეიძლება, ციხეშიც აღმოჩნდეს.

— ბურჯანაძის პარტიასთან რატომღა გაკავშირებენ ხშირად?

— ვფიქრობ, ამასაც ნაცმოძრაობა აკეთებს. ნაციონალებმა ბურჯანაძეს უკვე მიაწებეს პრორუსული იარლიყი, ამიტომ ახლა ცდილობენ, ჩვენ ბურჯანაძეს მიგვაბან. ეს მათი ერთ-ერთი ხრიკია.

— ამ პარტიას საკმარისი პრობლემა აქვს და რატომ გგონიათ, რომ სულ თქვენითაა დაკავებული?

— სულ ჩვენით დაკავებული იმიტომაა, რომ დღეს, რეიტინგით, მეორე ძალა ვართ და ეს ყველამ იცის.

— რომელ რეიტინგებზე მესაუბრებით?

— ეს ის კვლევებია, რომელსაც თავად „ოცნება“ და ნაცმოძრაობა ატარებენ და არ ახმაურებენ. ჩვენც ვატარებთ შიდაკვლევებს. ეს ყველაფერი ბრწყინვალედ იცის NDI-მ და IRI-მაც.

— მაგრამ რატომღაც, სულ რაღაც 4% მოგანიჭეს ბოლო კვლევაში. საინტერესოა, რას აპირებთ თქვენს მიერ დაანონსებულ მოძრაობაში ამ ორგანიზაციების წინააღმდეგ?

— ეს მოძრაობა სოციალური ქსელებიდან დაიწყო. უამრავმა ადამიანმა განაცხადა, რომ მსგავს გამოკითხვებში მონაწილეობა არასდროს მიუღია. მერე შეიკრიბა ათასამდე მოხალისე და სურვილი გამოთქვეს, გადაამწმენდ, ვინ ენდობა მოსახლეობაში ამ ორგანიზაციებს და ვინ არა. ამ კამპანიას უშუალოდ ჩვენი პარტია არ ატარებს. უფრო მნიშვნელოვანია, მთლიანობაში, პროცესი დავინახოთ სწორად. არსებობს ნაცმოძრაობა, რომელსაც აქვს ფული და კავშირები საზღვარგარეთ და ორივეს ეფექტურად იყენებს. ვართ ჩვენ, გვაქვს კავშირები და პერიოდულად, ამ პარტიას წინააღმდეგობას ვუწევთ, თუმცა ფული გვიჭირს და ცხადია, არის ხელისუფლება, რომელიც საერთოდ არაფერს აკეთებს. არადა, ამერიკაში პოლიტიკას არასამთავრობო ორგანიზაციები, ლობისტური კომპანიები და გავლენიანი პოლიტიკოსები ქმნიან, ისევ ამ ორთან მუშაობით. ეს სისტემა რომ მუშაობს, მე და სააკაშვილმა ვიცით. ჩვენც ასე ვიმუშავეთ სააკაშვილის წინააღმდეგ ბრიუსელსა და ვაშინგტონში, მაგრამ ხელისუფლებას ვაფრთხილებდით, არ მოდუნებულიყო და ეს ბრძოლა ქვეყნის გარეთ გაეგრძელებინა. თუმცა ეს არ მოისურვეს და შედეგი სახეზეა. სააკაშვილმა ყველაფერი ერთბაშად ვერ ჩამოირეცხა, მაგრამ 2,5 წელიწადში, ნელ-ნელა, თავი გაითეთრა. ამ ლობისტებთან საქართველოდან სხვა არავინ თანამშრომლობდა. პირველი წელი წინააღმდეგობას ვუწევდით, მერე ხელისუფლებას ვუთხარით, ამდენი ფული და საშუალება არ გვაქვს და აწი, თქვენ მიხედეთ საქმეს-მეთქი, მაგრამ არც ეს გააკეთეს.

— ისე, სახსრები თქვენს პარტიას საიდან აქვს, მუდმივად უცხოეთში რომ დადიხართ?

— ჩემი ძმა არც ისე უცნობი ბიზნესმენია. გარდა ამისა, 50 წელს გადავაბიჯე, მეც მაქვს დანაზოგი, რა გასაკვირია. ახლა კიდევ დაფინანსება შემოგვემატა. თუმცა ეს ყველაფერი, ერთად აღებული, საკმარისი, ცხადია, არ არის.

ვერსიანიული

თბილისის საერთაშორისო აეროპორტის რეაბილიტაციისთვის 30 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩაიდება

„საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასა“ და შპს „ტავ-ურბან საქართველოს“ შორის 2005 წელს დადებული ხელშეკრულების განახლებულ ვარიანტს, ეკონომიკის სამინისტროს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ დირექტორმა, ქეთევან ალექსიძემ და „ტავ ჯორჯიას“ გენერალურმა მენეჯერმა მეთე ერკალიმ მოაწერეს ხელი. ხელმოწერის ცერემონიალს ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და „ტავ ეარფორთს ჰოლდინგის“ პრეზიდენტი სანი შენერი დაესწრნენ.

2005 წლის ხელშეკრულების ახალი რედაქციით, შპს „ტავ-ურბან საქართველო“, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ოპერირებას 2027 წლამდე განახორციელებს. გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, 2 წლის განმავლობაში ბევრმა ადამიანმა იმუშავა, რათა დაეცვათ სწორი ბალანსი კერძო კომპანიის ინტერესებს, სახელმწიფოს, მოქალაქეებისა და საჯარო ინტერესებს შორის: **„დღევანდელი დღე ნათელი მაგალითია, რომ საქართველოს მთავრობა ყოველთვის მზად არის, ხელი შეუწყოს უცხოელი ინვესტორების საქმიანობას საქართველოში, შექმნას შესაბამისი გარემო ბიზნესის განვითარებისთვის და ამავდროულად მაქსიმალურად დაიცვას საქართველოს მოქალაქეების ინტერესები. დროთა განმავლობაში საჭირო გახდა, შეცვლილიყო ხელშეკრულების პირობები, რადგან გარემოებები შეიცვალა და მოთხოვნებიც გაცილებით მაღალია მგზავრთა ნაკადიდან გამომდინარე. ხელშეკრულება შედგენილია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ავიაგადამზიდავების საერთაშორისო ასოციაციის რეკომენდაციების მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ ასაფრენი ზოლის რეაბილიტაცია მოხდება და აეროპორტის მთლიანი ინფრასტრუქტურა განახლდება, აეროპორტი შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან და შესაძლებლობა ექნება, მიიღოს ყველაზე დიდი ავიახომალდები“.**

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, კომპანია თანხმდება იმ მოთხოვნებს, რომ არ მოხდეს ტარიფების ზრდა იმ პირობებით, როგორც იყო ჩადებული თავდაპირველ ხელშეკრულებაში: **„თავდაპირველ ხელშეკრულებაში იდო რომ 2005 წლიდან დღემდე მათ შესაძლებელი ჰქონდათ დღეს უკვე მოეთხოვათ 12%-იანი ზრდა. ისინი უარს ამბობენ და მხოლოდ სამ ეტაპად შეიძლება თითო-თითო დოლარით მგზავრზე განხორციელდეს ტარიფების ზრდა“.**

ხელშეკრულების ახალი ვერსიით მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოხდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის არსებული ასაფრენი ზოლის და სამიმოსვლო ბილიკების სრული რეაბილიტაცია, რომელიც განხორციელდება 2014 წელს საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია IATA Consulting-ის მიერ მომზადებული დასკვნისა და რეკომენდაციების შესაბამისად. სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება 2015 წლის 1 სექტემბრიდან და დასრულდება 2016 წლის ივნისის ბოლოს. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის განვითარების გეგმა ოთხეტაპიანია. მხარეები ასევე შეთანხმდნენ აეროპორტის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის კონკრეტულ ვალდებულებებზე, ქონების მართვის და უკან დაბრუნების კონკრეტულ გემგა-გრაფიკზე. ასევე სრულად მოგვარდა და დარეგულირდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტის არსებული ტერმინალის და მიწის საკითხები, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება სახელმწიფო ბიუჯეტზე.

„პირველი“

განხეთქილება ნაციონალებში

ნინო კომახიძე
599-95-33-16

კვირის თემად კვლავ ექსნაციონალური კვარტეტი რჩება, რომელმაც ორდღიანი ტაიმაუტის შემდეგ, პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი გადადგა და მოღვაწეობა უდიდესი შეცდომით გააგრძელა: ოთხმა გამოცდილმა პოლიტიკოსმა ერთი განცხადება გამოგვიგზავნა, ამის მერე მასმედიას ემალება და შიგადაშიგ, საკუთარ იდეებს სოციალურ ქსელში გვიზიარებს. ეს საგანგებო განცხადებაც ზურაბ ჯაფარიძემ დაწერა, დანარჩენი სამი კაცი კი კვლავ ფარდის უკან დარჩა. თუმცა ამ რამდენიმე სტრიქონშიც იმაზე მეტი კითხვაა, ვიდრე პასუხი. ამიტომ მიუხედავად ერთკვირიანი აჟიოტაჟისა, ისევ გასარკვევია, რეალურად, რატომ დატოვა ოთხმა ლიდერმა დედაპარტია და როგორ გადანაწილდება პოლიტიკური სპექტრი წინასაარჩევნოდ.

„მქონდა კონსულტაცია პარტიის ერთ-ერთ ლიდერთან, რომელმაც ითხოვა, გარკვეული პერიოდი საერთოდ არ გამეხმაურებინა გადაწყვეტილება. ჩვენ პირობა დავიცავით. ინფორმაციამ ჩვენგან დამოუკიდებლად გაჟონა... ვხედავთ რეალურ საფრთხეს, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში უმრავლესობით მოვიდნენ ღიად ან ფაქტობრივად პრორუსული ძალები. ამ რეალობის შეცვლის შანსი მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა, რომელმაც გაუძლო წნეხს, გადარჩა და ბრძოლას აგრძელებს. თუმცა ეს არასაკმარისია მიზნის მისაღწევად. გამარჯვებისათვის საჭიროა პოლიტიკური მოძრაობის სრული განახლება და მეტი გახსნილობა. მარცხზე პასუხისმგებლობის აღება და პოლიტიკური მოძრაობის განახლება დამკვიდრებული პრაქტიკაა, რაც ენმ-მ ვერ შეძლო. ჩვენთვის არასდროს ყოფილა 2016 წლის არჩევნებში საპარლამენტო მანდატის მიღება მოტივაცია. მეტიც, ჩემთან ერთად, ენმ-დან წამოსული არც ერთი კოლეგა არ აპირებს 2016 წლის არჩევნებში საპარლამენტო მანდატისთვის ბრძოლას, რადგან სჯერა, რომ საზოგადოება სიახლეს ითხოვს... ჩვენ არ გავდივართ ბრძოლის ველიდან. იგივე პოზიციებზე ვართ და იგივე მოწინააღმდეგე გვყავს — ტყუილებით მოსული ოლიგარქი. თუმცა დღევანდელი რეალობა განსხვავებულია: 1,5 წელში საპარლამენტო არჩევნებია და სწორედ ამ მოწინააღმდეგის დასამარცხებლად, საჭიროა პოლიტიკური სპექტრის ახლებურად გადანაწილება. ჩვენი მიზანია, შევქმნათ ახალი, ღია პოლიტიკური ცენტრი. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საზოგადოებას ეკონომიკური განვითარების ყველა კონკურენტზე თამამ, მაგრამ არაპოპულისტურ გეგმას შევთავაზებთ“,** — დაწერა ნაციონალების ყოფილმა გენმდივანმა, **ზურაბ ჯაფარიძემ** და სავარაუდოდ, გოგა ხაჩიძე, გიორგი მელაძე და პავლე კუბლაშვილიც დაეთანხმნენ. განცხადებამ, რომელიც ურთიერთგამომრიცხავი პასაჟებითაა სავსე, ვითარება კიდევ უფრო აჭრა: ვინაა ის ერთი ლიდერი, ვისაც ოთხმა აჯანყებულმა გული გადაუშალა? როცა საუბარია პრორუსული ძალების მოსვლის საფრთხეზე ხელისუფლებაში და მასთან ბრძოლაზე, რატომ ფიქრობს ეს 4 კინკილა კაცი, რომ ამას ნაციონალების მსხვილ პარტიაზე უკეთ გააკეთებს, ან ნაციონალებზე დიდი და გავლენიანი ცენტრის შექმნას როგორ შეძლებს ამ 1,5 წელიწადში? როცა განახლებაზე საუბრობენ და ამბობენ, 2016 წლის არჩევნებისთვის ბრძოლას არ აპირებენ, რადგან ხალხს მათი დანახვა არ სურს, ჯერ ერთი, შეეძლოთ, მანდატები ახლავე დაედოთ. თუმცა არათუ მანდატებს დებენ, უკვე წინასაარჩევნო პროგრამის პუნქტებს გვაყრიან სახეში და ეკონომიკური განვითარების ყველა კონკურენტზე თამამ გეგმას გვთავაზობენ. არადა, ეს ის ხალხია, წინა სტრიქონში 2016 წლის არჩევნებში არმონაწილეობას რომ იფიცებოდა. ალბათ, ექსნაციონალები მიხვდნენ, რომ ისედაც ბევრ კითხვას ამ განცხადებითაც მიუმატეს კითხვები და Facebook-სტატუსების გამოქვეყნება და პატარ-პატარა კომენტარების კეთება დაიწყეს. ჯერ **პავლე კუბლაშვილმა** უპასუხა მოარულ ხმებს მისი გამილიონერების შესახებ — **„ჩვენი გაერთიანების დარეგისტრირების შემდეგ, თითოეული შემოწირულობა გამჭვირვალე იქნება. სამწუხაროდ, არანაირი დაფინანსება არ გვაქვს, ამ ეტაპზე. თუმცა გარწმუნებთ, ამ გაერთიანებას ექნება ის დაფინანსება, რაც მნიშვნელოვანია პოლიტიკური მიზნების მისაღწევად“.** მერე **გოგა ხაჩიძემ** ამოიდგა ენა და გვითხრა: **„დარწმუნებით ვამბობ, რომ ფრაქციას აუცილებლად შევქმნით. გვაქვს კონსულტაციები, ვსაუბრობთ დეპუტატთა შესაბამის ჯგუფებთან, ცალკეულ დეპუტატთან“.** ჰოდა, მისმა განცხადებამ მხოლოდ ერთი უფრაქციო დეპუტატი შეაშფოთა, თან ყოფილი ალასანიასპარტიელი და პავლე კუბლაშვილის მეგობარი გედი ფოფხაძე, ემანდ, ვინმემ ნაციონალებთან არ დამაკავშიროსო და „ოცნების“ ფრაქციაში შევარდა. ალასანიას გუნდის დეპუტატმა ნინო გოგუაძემ კი მტკიცედ გამორიცხა, ამ ოთხეულის ადგილი ჩვენს პარტიაში არააო, სამაგიეროდ, არ უთქვამს, ფრაქციაში არ მივიღებთო. წინა დღეს კი ზურაბ აბაშიძემ ვერ მოზომა და არაპირდაპირ დაადასტურა, რატომაც არ უნდა გავერთიანდეთ ერთ ფრაქციადო. აი, პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა კი მთავარი კონკურენტის სამ ნაწილად დაშლა ივარაუდა და კარგად თუ დავუფიქრდებით, ამაში ახალი და საკამათო არაფერია: სააკაშვილის „ძველი გვარდია“, ბოკერიას ფრთა, რომელსაც დიდი ხანია, გამოყოფას უწინასწარმეტყველებენ და უკვე გამოყოფილები. ესეც სამი განშტოება, რაც მითიური სულაც არ ყოფილა და ამაში ბოლო მოვლენებმაც დაგვარწმუნა. იმდენი ვერსია და ჭორ-მართალი აირია ერთმანეთში, მარტივ ენაზე აღარავინ საუბრობს და პოლიტიკურ კულუარებში სულ უფრო იძირება. ჩვენ 2 დღის განმავლობაში ვცდილობდით, ყველა ამ კითხვაზე პასუხის თავად ნაციონალებსა და ექსნაციონალებში მოძიებას. თუმცა ყველაზე კონკრეტული, რაც **გიორგი ვაშაძისგან** გავიგეთ, ისაა, რომ იგი პარტიას არ ტოვებს: **„პარტიას არ ვტოვებ, ეს ტყუილია. არ ვფიქრობ, რომ პრურუსულ ძალებთან საბრძოლველად ორი ცენტრის შექმნაა საჭირო. პარტიის დაშლასა და ვინმეს გამოკლებას ნამდვილად არ ველი. ნაციონალური მოძრაობა საკმაოდ დიდი ორგანიზაციაა და ვინმეს წასვლით ვერ დაიშლება. აქ არც ოთხი გამოცდილი ლიდერის წასვლაზეა საუბარი, პირდაპირ უნდა ვთქვათ, დანაკლისი აღმასრულებელი მდივანი ზურაბ ჯაფარიძე იყო. ის, რაც განცხადებაში თქვა, პრობლემებისგან გაქცევაა და არა პრობლემების მოგვარება. ვწუხვარ, რომ ეს გზა აირჩია. ყველაზე ნაკლებს მათი წასვლის ვერსიებზე ვფიქრობ. მე ის ცვლილებები მაინტერესებს, რაც ნაციონალურ მოძრაობაში დაიწყო — განახლების პროცესი! ვწუხვარ, ამ ხალხის წასვლის გამო, თუმცა ჩვენი ძირითადი სამოქმედო გეგმა ამით არ შეცვლილა“.** რატომ არ შეიძლება, ეს პოლიტიკურ ხლართებში გამობრძმედილი ნაციონალების თამაში იყოს – ვითომ, ორად გაყოფა, ხელისუფლების ყურადღების გადასატანად?! ალბათ, ამ კითხვას ვაშაძეს გულწრფელად უპასუხა: **„საქართველოში პოლიტიკური თამაშები არ გამოდის, საბოლოოდ, ყველამ მაინც ყველაფერი იცის. ეს რომ თამაში იყოს, მალე გაირკვევა, ვინ დგას მის უკან და ვინაა მწვრთნელი“.** კიდევ უფრო გულწრფელი **აკაკი ბობოხიძე** იყო, რომელმაც არაპირდაპირ თქვა, სად გვაქვს ამის ჭკუაო, მაგრამ ოფიციალურ პასუხად ერთ-ერთი გავრცელებული ვერსია შემოგვთავაზა: **„მაინც მგონია, ზურა ჯაფარიძემ დაინახა, რომ არსებობს ამომრჩეველთა დიდი ნაწილი, რომელსაც ჯერ კიდევ არ აქვს გადაწყვეტილი, ხმა ვის მისცეს და გაუჩნდა განცდა, რომ მას აქვს რესურსი, ამ ე.წ. შუაში მყოფი ამომრჩევლის ხმები მიიზიდოს. ჩემი აზრით, ეს მთლად სწორი გზა არაა — მესამე ცენტრს ყოფილი ნაციონალები ვერაფრით დააფუძნებენ. აი, მე სადაც უნდა წავიდე, მაინც ნაციონალ კაკო ბობოხიძედ დავრჩები და ადამიანს თუ არ უნდა, ხმა ნაცმოძრაობას მისცეს, ის არ მისცეს ხმას პარტიას, სადაც კაკო ბობოხიძე იქნება. რა მნიშვნელობა აქვს, რა სახელს დავირქმევ? ნაციონალური მოძრაობა, პირველ რიგში, მიხეილ სააკაშვილსა და იმ ადამიანებთან ასოცირდება, ვინც ამ პარტიის აქტიური სახეები არიან და რომელთა წასვლა მართლა შეიძლება რაღაცის ნიშნად მიიჩნიოს ადამიანმა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ოთხიდან თითოეულზე ძალიან მწყდება გული, მათი წასვლა რა კეთილი სურვილებითაც უნდა იყოს ნაკარნახევი, პოლიტიკური შეცდომაა. 1 კვირის წინ რომ ეთქვათ, ჯაფარიძე დატოვებს პარტიასო, არ დავიჯერებდი, ამიტომ ხვალ რა იქნება, კაცმა არ იცის. რეალურად, დღეს პოლიტიკურ რადარზე ორი ძალაა — ხელისუფლება და ნაციონალური მოძრაობა. მეეჭვება, სხვა რომელიმე ძალამ სერიოზული ცვლილებების შეტანა შეძლოს დღეს არსებულ ვითარებაში“.** ისე, სასურველი იქნებოდა, რიგით მეორე პარტიასა და ყველაზე დიდ ოპოზიციურ ძალას, როგორც თავად აქვთ პრეტენზია, ასეთი პოლიტიკური თამაშების გათვლის ჭკუა ჰყოფნოდა. თუმცა რაკი ამბობენ, ამდენი არ შეგვიძლიაო, ე.ი. ასეცაა. სამაგიეროდ, არავინ საუბრობს ყველაზე ელემენტარულ და ლოგიკურ ვერსიაზე და სამ ფაქტორზე, რომელსაც, ჯერჯერობით, ქართული პოლიტიკა გვერდს ვერ აუვლის — სააკაშვილი, ივანიშვილი და დასავლეთი. **პირველი ვარიანტი ისაა, რომ გუნდის შიგნით განხეთქილებაა**, რასაც თითოეული დაბნეული ლიდერის განცხადება ამტკიცებს: უბრალოდ, პარტიაში ვერ დალაგდნენ, ფუნქციები ვერ გადაინაწილეს და ვერ შეთანხმდნენ მთავარზე — უნდა დარჩეს თუ არა მიხეილ სააკაშვილი კვლავინდებურად ნაციონალების ყოჩად. რა თქმა უნდა, უნდა დარჩეს, რადგან მას დღესაც იმაზე მეტი რესურსი აქვს, ვიდრე, მაგალითად, ოთხივე ყოფილ ნაციონალს ერთად — ასე პარტიაში დარჩენილი ყველაზე დიდი ნაწილი ფიქრობს. თეორიულად, ალბათ არსებობს პოლიტიკური ნიშა ისეთი ძალისთვის, რომელსაც პროდასავლური ღირებულებები აქვს, მაგრამ ეს ბრძოლა ისე მოიგო, ნაციონალების მხოლოდ მიღწევებთან ასოცირდებოდე და არა „ცხრაწლიან სისხლიან რეჟიმთან“, ფაქტობრივად, შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია, პარტიის სრულად დისტანცირება სააკაშვილისგან. **მეორე ვარიანტის მიხედვით, გადამწყვეტი ბიძინა ივანიშვილის ფაქტორია:** თუ იმ ხმების ნახევარი მაინცაა მართალი, რაც ივანიშვილზე ვრცელდება, რა გამოდის — მერაბიშვილი ციხიდან გააქტიურდა, ვაჟა ლილუაშვილის მეშვეობით 4 კაცი გამოაკლო ნაციონალებს, დაეხმარა კიევში „ივერიასთან“ საიდუმლოდ შეხვედრაში. მერე ლატვიაში ჯოზეფ ქეის გაახსნევინა ანგარიში, სადაც ივანიშვილის მთავრობას მილიონები ჩააროცხვინა, ყველაფერი კი პრემიერის ცოლისძმის, დეპუტატ ლექსო თამაზაშვილის თანდასწრებით დაიგეგმა. ჰოდა, ამ გრანდიოზული გეგმით, ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილზე დიდი „მედასავლეთე“ გამოდის, რომელმაც ნაციონალები, ფაქტობრივად, დაშალა, მათი შედარებით „გაუსვრელი“ ორი ნაწილი „ივერიისა“ და ოთხეულის სახით შეაერთა, დააფინანსა და ახალ დასავლურ ცენტრს აქმნევინებს. **მესამე ვარიანტი კი ის ცნობილი თეორიაა, რომელსაც ხშირად, რუსეთზე ვისმენთ, ოღონდ, დასავლეთის მონაწილეობით:** ფსონმა, რომელიც ნაციონალებზე იყო დადებული, არ გაამართლა. ნაციონალებს მხარდაჭერა აღარ აქვთ, საკუთარი თავის რეაბილიტაცია ვერც უკრაინაში მოახერხეს, ქვეყანაში პრორუსული, ევრაზიული კავშირისადმი კეთილგანწყობილი სეგმენტი გასამმაგდა და ამის შეჩერებაა აუცილებელი. ეს ახალი ცენტრით იქნება შესაძლებელი, ხოლო იმ ლიდერებსა და პარტიებს, მაგალითად, ედპ-ს, ახლებს, პაატაა დავითაიას, ზურაბ ხარატიშვილს და სხვებს, ვისაც აქამდე ნაციონალური „ის ცხრა წელი“ აფერხებდა, ახლა სათქმელი მიეცემათ, გამოყოფილი კვარტეტი ხომ საკუთარ გუნდს გაემიჯნა, ამიტომ მათთან ვითანამშრომლებთო.

ერთი რამ ნათელია — ნაციონალურ გუნდში განხეთქილებაა, მოვლენები კი, როგორც უნდა განვითარდეს, სააკაშვილ-ივანიშვილის ფაქტორს გვერდს ვერ აუვლის.

ვერსიანიუსი

შსს უგზო-უკვლოდ დაკარგულ პიროვნებას ეძებს

შინაგან საქმეთა სამინისტრო ეძებს უგზო-უკვლოდ დაკარგულ, 1971 წელს დაბადებულ, თბილისში, დიდი დიღმის მე-3 მ/რ-ში, მე-15 კორპუსის N142 ბინაში მცხოვრებ თამაზ ჯუმბერისძე გუდაძეს. იგი 2015 წლის 4 მაისს სახლიდან გავიდა და შინ აღარ დაბრუნებულა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეტყობინების მიღებისთანავე დაიწყო უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის სამძებრო-საძიებო ღონისძიებები. სამართალდამცველები 24-საათიან რეჟიმში ახორციელებენ თამაზ გუდაძის სამძებრო მოქმედებებს. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ყველა თანამშრომელს, როგორც ეკიპაჟების, ასევე მეტროპოლიტენის პატრულის თანამშრომლებს, ყოველდღიურად მიეწოდებათ ინფორმაცია დაკარგული პირის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით, მთელი საქართველოს მასშტაბით, ინფორმირებულია კრიმინალური პოლიციის ყველა დანაყოფი. ყოველდღიურად მოწმდება როგორც სასწრაფო სამედიცინო დახმარების, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში შესული შეტყობინებები. სამართალდამცველების მიერ მიმდინარეობს გარესათვალთვალო კამერებიდან ვიდეომასალის ამოღება და გაშიფვრა. თამაზ გუდაძის აღწერილობაა: 175 სმ სიმაღლის, სუსტი აღნაგობის, მოკლედ შეჭრილი თმით. ტანთ ეცვა: ცისფერი „კაპიშუნიანი“ ქურთუკი, შავი შარვალი და ლურჯი ფერის სპორტული ფეხსაცმელი. თუ ვინმეს გაგაჩნიათ ინფორმაცია დაკარგული თამაზ გუდაძის შესახებ, დაგვიკავშირდით ნომრებზე: 577-53-94-60; 032 241-31-32;593-244-243.

„ვერსიანიუსი“

დედის წერილს „შენიერული“ ქურდი

როგორ აღმოაჩინა ავტორიტეტმა მშობლების ნაჩუქარ მედალიონში წერილი და რატომ გაიკეთა „წამლის“ დიდი დოზა

პატიმარი №0578

რამდენიმე თვის წინ, ტელევიზიით სიუჟეტი გავიდა, სადაც „კანონიერი ქურდების“ საფლავები აჩვენეს. კრიმინალური სამყაროს მამების საბოლოო სამყოფელი სხვებისგან აშკარად გამორჩეულია და იგრძნობა, რომ იქ „ვიღაც“ არ მარხია. ამის მიუხედავად, არცთუ იშვიათად, ქურდების საფლავებიც გაუძარცვავთ — ამოუთხრიათ და მათთვის ჩაყოლებული ძვირფასეულობა ხელს გაუყოლებიათ. ეს ქურდებისა და მთლიანად კრიმინალური სამყაროსთვის დიდი შეურაცხყოფაა — საფლავების მძარცველებს, როგორც წესი, მთელი კრიმინალური სამყარო ეძებს, თუმცა იშვიათად პოულობს...

აღმოსავლეთ საქართველოში მიშა მ. გამორჩეული „ქურდი“ იყო. როგორც წესი, ქურდულ ქალაქებად ქუთაისი, ხონი, სამტრედია, ზუგდიდი... ითვლებოდა, მაგრამ მიშამ კრიმინალური „განათლება“ რუსეთში მიიღო და „ქურდადაც“ იქ „აკურთხეს“. მიშას მამა და დედა, ბატონი მამუკა და ქალბატონი მარინა ისევ საქართველოში ცხოვრობდნენ. მამუკა რიგითი მუშა იყო, მარინა პედაგოგი, თუმცა გრძნობდნენ, რომ მას შემდეგ, რაც მათი ვაჟი ქურდი გახდა, ყველა სხვანაირად, პატივისცემით ეპყრობოდა. გაგანია კომუნიზმში ქურდებს სხვანაირად აფასებდნენ, თუმცა...

მიშა საქართველოში ზაფხულში ჩამოასვენეს. მის გასვენებას ქურდული ელიტა დაესწრო, პატივითაც დაიკრძალა ახალგაზრდა კაცი, მაგრამ რად გინდა, მეორე დღეს საფლავი ამოთხრილი დახვდათ. ქურდებმა გაძარცული მიცვალებული შეამოწმეს და დაასკვნეს — წაღებულია ნაგანი და წამალი, რომელიც ქურდს მეგობრებმა ჩააყოლესო. მამუკას არაფერი უთქვამს, მეორე დღეს მეორედ მიაბარა შვილი მიწას და ეს ამბავი თითქოს დაივიწყა, მაგრამ...

წლები გავიდა, საბჭოთა კავშირი დაინგრა, საქართველოში ყველაფერი ჭირდა და ვისაც რამე ჰქონდა, მშრალ ხიდზე მიარბენინებდა. ქალბატონმა მარინამ ქორწინების ბეჭედი მოიხსნა, ჯერ მეზობლებში გაიკითხა, მაგრამ შესაბამისი თანხა არავის ჰქონდა და ისიც თბილისის გზას დაადგა. მშრალ ხიდზე მივიდა, ბეჭედი ხან ერთ ვაჭარს შეაძლია, ხან მეორეს. ბოლოს უთხრეს, ოქროებით იოსკა ვაჭრობს, იქ მიდიო. მარინაც მივიდა, იოსკას ბეჭედი გაუწოდა, დახლზე გამოფენილ ოქროს დახედა და... გონება დაკარგა. როცა უკეთ გახდა, უკვე საავადმყოფოში იყო. ბეჭედი თითზე ეკეთა. ცუდად გახდომის მიზეზი ჰკითხეს, მაგრამ არაფერი თქვა, სახლში წავალო, ჩაილაპარაკა და შინ დაბრუნდა. მეორე დღეს თბილისისკენ გეზი უკვე მამუკამ აიღო, ისიც იოსკასთან მივიდა, დახლი დაათვალიერა... ცოტა ხანში, გარდაცვლილი ქურდის მამა ლოტკინის აღმართზე ხვნეშით ადიოდა.

„ვახო, ქურდი კაცი ხარ, ჩემი შვილი შენი ძმაკაცი იყო, ისიც ქურდად მოკვდა და უნდა დამეხმარო. ხომ სულ ერთად იყავით, ხომ სულ ერთად დადიოდით და გემახსოვრება, მიშას მედალიონი. მე და ჩემმა დედაკაცმა მთელი საგვარეულო ოქრო გადავადნეთ, სამი რუსული ასო „მ“ ჩამოვასხმევინეთ, უკან ოქროს ფირფიტა მივაკარით და მიშას ვაჩუქეთ. სამი „მ“ მამუკას, მარინას და მიშას ნიშნავდა. სულ თან ჰქონდა, არ იხსნიდა და საფლავშიც ჩავაყოლეთ. ჰოდა, ახლა ეგ მედალიონი ვიღაც იოსკას უდევს მშრალ ხიდზე ბირჟაზე და ყიდის. ჩემმა დედაკაცმა ნახა გუშინ და გული წაუვიდა. დღეს მე ვნახე და პირდაპირ ვამბობ, რომ ის არის, ის. მე მედალიონი არ მინდა, თავში ქვა უხლიათ, ის მაინტერესებს, შვილის საფლავი ვინ გამითხარა“, — მამუკა ჩუმად და მტკიცედ ლაპარაკობდა.

ვახო ჩუმად უსმენდა, მერე წამოდგა, წამომყევიო უთხრა და მშრალ ხიდზე წავიდა. იოსკამ კანონიერი ქურდი მაშინვე იცნო, ეგონა, ახალი საქონელი მომიტანაო და გაუღიმა, მაგრამ ვახომ მედალიონს დაადო ხელი და სუსხიანი ხმით ჰკითხა: „ეს საიდან გაქვს?!“

„რა ვიცი, ვახოჯან, ვიღაც არიფმა მომყიდა იაფად, მე ცოტა დავუმატე და ვყიდი, თუ მოგწონს, თავის ფასში მოგცემ“, — გაუღიმა იოსკამ.

„კიდევ ერთხელ გკითხავ და მერე გავბრაზდები: „ვინ მოგიტანა გასაყიდად ეს მედალიონი?!“ — ხმას აუწია ვახომ.

„რუსთაველმა „კაი ბიჭებმა“, ვახოჯან. რად გინდა გაბრაზება, კი იცი შენ, ვინც მომიტანა, რუსთავიდან ვის დააქვს ეგეთი ნივთები“, — უცებ მოტყდა იოსკა.

„გაყიდვა არ გაბედო, გქონდეს ჯერ, დანარჩენზე მერე ვილაპარაკებთ“, — უთხრა ვახომ და მანქანით რუსთავის გზას დაადგა.

რუსთაველმა ქურდებმა ლოტკინელი „ბრატი“ პატივით მიიღეს, რესტორანში წაყვანა დაუპირეს, მაგრამ ვახომ საქმის ვითარება აუხსნა და ქურდებმაც მაშინვე ოქროს ჩამბარებელი ბიჭები დაიბარეს.

„ყომარში დიდი ფული მოვიგეთ, ჩვენი უბნელი ბიჭია, იმას ვეყომარეთ და ფულის მაგივრად ეს მედალიონი მოგვიტანა“, — ბიჭებმა მაშინვე თქვეს, საიდან ჰქონდათ მედალიონი.

„მაგის მამა ძველი ნაძაღლარია, ხო?!“ — იკითხა რუსთაველმა ქურდმა და როცა თავი დაუქნიეს, ძველი „ნაძაღლარი“ სოსო ქურდებთან კინწისკვრით მიათრიეს.

„სოსო, ტყუილი არ გამოვა იცოდე. შენმა ბიჭმა სახლიდან ოქროს მედალიონი გამოიტანა. გეცოდინება, რომელიც და შენ ის უნდა გაიხსენო, სად, როგორ იშოვე“, — უთხრეს სოსოს.

„ადრე, როცა მილიციაში ვმუშაობდი, სპეცოპერაციაზე წავედით. ყაჩაღური ბანდა დავიჭირეთ და აყვანის დროს ერთერთს მოძვრა ეს მედალიონი. ჯიბეში ჩუმად ჩავიდე, არც იმას მოუკითხავს და არც მე მითქვამს რამე. იმას ვაჟა ერქვა, კი იცით თქვენ, ყაჩაღია, ნარკომანი. პრინციპში, რაღა არის, ერთი წლის წინ მოკლეს რუსეთში და ახლა რუსთავის სასაფლაოზე მარხია“, — სოსომ მაშინვე გაიხსენა მედალიონის ამბავი.

„ის გაიხსენე, როდის იყო ეგ ამბავი და ვაჟასთან ერთად კიდევ ვინ დაიჭირეთ? ოღონდ ცოცხლები გაიხსენე“, — უთხრეს ქურდებმა.

„ზუსტად წელი არ მახსოვს, მაგრამ აი, მიშა რომ იყო ქურდი, ის რომ მოკვდა, მალევე მოხდა ეგეც. ვაჟასთან ერთად ჯაბა და თემური იყვნენ. თემური მკვდარია, ჯაბა ცოცხალი“, — სოსოს ყველა დეტალი ახსოვდა.

ქურდებმა ახლა ჯაბას მიყვანა ბრძანეს და ისიც კოჭლობით და წვალებით მივიდა.

„თქვენ რომ არ დაგებარებინეთ, არ მოვიდოდი, ფეხი მილპება, განგრენა მაქვს“, — თავისი ვიზიტი დაამადლა ჯაბამ.

„ჯაბა, ვაჟა შენი „პადდელნიკი“ იყო. უნდა გაიხსენო, ოქროს მედალიონი საიდან ჰქონდა, თორემ განგრენა კი არა, ჩვენ მოგკლავთ“, — ქურდები აშკარად არ ხუმრობდნენ.

„არ ვიცი. ღმერთს გეფიცები, არ ვიცი. ეჭვი მაქვს, ჩვენს გარეშე, ჩემი და ცხონებული თემურას გარეშე გაარტყა რაღაც, რადგან ერთ დღეს მოვიდა, მაგიდაზე წამალი დაყარა, იგულავეთო და ეს მედალიონიც მაშინ გამოჩნდა. მეტი მართლა არაფერი ვიცი“, — სხაპასხუპით უპასუხა ჯაბამ.

კარგა ხანს აწვალეს ჯაბა, კარგა ხანს უმტკიცეს, ფეხს ახლავე მოგაჭრითო, მაგრამ მან მეტი ვერაფერი გაიხსენა. ვახომ ქურდებს მადლობა უთხრა, მამუკა მანქანაში ჩაისვა და თბილისში დაბრუნდა. მშრალ ხიდზე იოსკას მედალიონი გამოართვა, გავსწორდებითო, უთხრა და მამუკას დაუბრუნა.

ერთი თვის შემდეგ მამუკა ისევ ვახოსთან მივიდა ლოტკინზე, მედალიონი წინ დაუდო და უთხრა: „შემშლია ვახოჯან, ეს ის მედალიონი არ არის. არადა, ზუსტად ასეთი დავამზადეთ და ვის მოუვიდა ნეტავ თავში აზრად, ანალოგიური გაეკეთებინა?!“

„და რა იცი, რომ ის არ არის?!“ — ჰკითხა ვახომ, რომელსაც სხვათა შორის სტუმრად ის ორი რუსთაველი ქურდი ჰყავდა.

„როცა გავაკეთეთ, უკან, ფირფიტაში, ჩემმა ცოლმა ფსალმუნი ჩაადებინა და კიდევ თავისი ხელით დაწერილი წერილი, სადაც დაწერა, როგორ წვალებით გავზარდეთ მიშა, როგორ თამაშობდა ბავშვობაში, ყველაფერი რა, ჩვენი ოჯახის ისტორია. ღმერთს უყვებოდა, ავედრებდა შვილი დაიფარეო. მედალიონი რომ მივიტანე, მთელი დღეები ხელში ატრიალებდა, ბოლოს თქვა, რაღაც სხვანაირიაო და ფირფიტა გამაჭრევინა. არაფერი არ დევს შიგნით, ცარიელია ვახო და ცოდვას ვერ დავიდებ, დაუბრუნე იმ იოსკას, ალალი იყოს“, — თქვა მამუკამ და ოთახიდან გასვლა დააპირა, მაგრამ ვახომ გააჩერა, ჯიბიდან რამდენიმე ასდოლარიანი ამოიღო, მამუკას ჯიბეში ჩაუკუჭა და მიშას შესანდობარი დალიე ჩვენს სახელზეო, უთხრა.

როცა მამუკა წავიდა, ვახომ ხელში აიღო მედალიონი, ატრიალა, მერე მაგიდაზე დააგდო და თქვა: „არადა, მიშასია!“

„რაა?!“ — დაიბნენ ქურდები.

„ჰო, მიშასია, ზუსტად ვიცი“, — ისევ ჩუმად თქვა ვახომ.

„და რატომ არ მიეცი? და ის რაღაც წერილი არ არისო?!“ — ქურდების დაბნეულობას საზღვარი არ ჰქონდა.

„მიშას სულ ეკეთა ეს მედალიონი, სულ ხელში ატრიალებდა. ბოლოს თქვა, ამ ფირფიტის შიგნით სიცარიელეა და მგონი, კოკაინის შესანახად გამოდგება, თუ გავხვრეტო. მერე ოქრომჭედელთან წაიღო, გაახვრეტინა და ის ფურცლები იპოვა. ამოიღო, სახლში მოიტანა, წაიკითხა და... მაგრად ინერვიულა, სწორედ იმ დღეს გაიკეთა წამლის დიდი დოზა და იმ დღეს გაიპარა კაიფში. მედალიონი ოქრომჭედელს მე მივუტანე მერე, ორი დღე გვქონდა, სანამ გადმოვასვენებდით, ახალი ფირფიტა გავაკეთებინე უკან, წერილების გარეშე და ისე ჩამოვასვენეთ საქართველოში. რა მეთქვა მამუკასთვის, დედის წერილს გადაჰყვა შენი შვილი მეთქი?!“ — თავი ჩაღუნა ვახომ.

* * *

ეს ისტორია პატიმარ №0578-ს ზონაზე ვახოს შვილმა უამბო, რომელიც სასჯელს ქურდობისთვის იხდიდა.

ვერსიანიუსი

შსს-მ უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე ამოიღო და უკანონო სახერხი საამქროები დალუქა

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ადიგენის, ახალციხის და ბორჯომის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1976 წელს დაბადებული მალხაზ ხ. სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის არამიზნობრივი გამოყენების, ხე-ტყის ტრანსპორტირების მოთხოვნათა დარღვევის და ნორმატიული აქტით დადგენილი, ხე-ტყის პირველადი გადამამუშავებელი ობიექტის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევის ფაქტებზე, 1967 წელს დაბადებული რამაზ გ, 1961 წელს დაბადებული დავით გ, 1977 წელს დაბადებული ალექსანდრე გ, 1981 წელს დაბადებული ვასილ ბ, 1984 წელს დაბადებული გიორგი ბ. და 1990 წელს დაბადებული თეიმურაზ დ. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით ტყითსარგებლობის ფაქტზე, ხოლო 1984 წელს დაბადებული ალექსი თ. და 1966 წელს დაბადებული დავით ც. ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტზე ამხილეს.

სამართალდამცველებმა ადიგენის რაიონის სოფელ მლაშესა და ბორჯომის რაიონის სოფელ ტაძრისში უკანონოდ მოჭრილი, სარეალიზაციოდ გამზადებული, წიწვოვანი ჯიშის, 21 ცალი, 3 მეტრის სიგრძის სამასალე მერქანი ამოიღეს. ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანში — თეიმურაზ დ-ს მართვის ქვეშ მყოფი სატვირთო ავტომანქანიდან ამოღებულია უკანონოდ მოჭრილი, წიფლის ჯიშის 5 კუბ.მეტრი სამასალე მერქანი. სამართალდამცველებმა ბორჯომის რაიონის სოფელ პატარა მიტარბში უკანონოდ მოპოვებული, წიწვოვანი ჯიშის, 4 მეტრი სიგრძის 8 მორი, ბორჯომის რაიონის სოფელ ჭობისხევში — ასევე უკანონოდ მოპოვებული, ნაძვისა და ფიჭვის, 5 მეტრი სიგრძის 145 ცალი დახერხილი ფიცარი და დასახერხად გამზადებული 5 მეტრის სიგრძის 10 მორი, ხოლო ახალციხის რაიონის სოფელ ტატანისის მიმდებარე ტერიტორიიდან — უკანონოდ მოჭრილი, სარეალიზაციოდ გამზადებული, 35 ცალი ნაძვისა და ფიჭვის ჯიშის სამასალე მერქანი ამოიღეს და უკანონო სახერხი საამქროები დალუქეს.

გამოძიება სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის არამიზნობრივი გამოყენების, ხე-ტყის ტრანსპორტირების მოთხოვნათა დარღვევის და ნორმატიული აქტით დადგენილი, ხე-ტყის პირველადი გადამამუშავებელი ობიექტის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევის და ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66-ე პრიმა, 128-ე პრიმა მუხლის მე-3 ნაწილის, 128-ე პრიმა მუხლის მე-4 ნაწილით და საქართველოს სსკ-ს 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

შსს-მ ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და ბაღდათის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1973 წელს დაბადებული გალაქტიონ ს. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.სამართალდამცველებმა ბაღდათის რაიონის სოფელ ვარციხეში, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, გასაშლელკონდახიანი „ა-კა-74“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 1 მჭიდი და 90 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

„მიშას დაკიდული ბაღები“ ნადგურდება!

თამარ ლომსაძე
599-20-94-01



ავლაბრის მეტროს თავზე ვერტიკალური ბაღის მოწყობა იმთავითვე აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი გახდა. ერთნი ამბობდნენ, საჭიროა ქალაქის ინფრასტრუქტურისთვისო, მეორენი კი, ქვეყანაში არსებულ სოციალურ ფონზე, ზედმეტ ფუფუნებად მიიჩნევდნენ, თუმცა ერთზე ყველა თანხმდებოდა — „დაკიდული ბაღი“ ულამაზესი იყო და ქალაქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობადაც მალევე იქცა.

მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერტიკალური ბაღის გვერდისავლით, რადგან შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ ამ „ღირსშესანიშნაობას“ მოვლა-პატრონობა აკლია და ჯვალოს ნაჭერი, რაზეც მცენარეებია დამაგრებული, ფაქტობრივად, განადგურებულია.

ხელისუფლების ოპონენტები ყველაფერში მერიას ადანაშაულებენ და აპელირებენ, რომ მსგავსი პრობლემები ძველი მმართველობისას არასოდეს შექმნილა, მერიის გამწვანების სამსახურში კი აცხადებენ, რომ „ვერტიკალური ბაღი“ კი არ ხმება, უბრალოდ რეაბილიტაციას საჭიროებს.

„ბაღი ნამდვილად არ ხმება, წელს ძალიან ბევრი მცენარე დაირგა და სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, საიდან ჩნდება მსგავსი ინფორმაციები“, — აღნიშნავს „ვერსიასთან“ გამწვანების სამსახურის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი **ნიკა ბურდული**, თუმცა დასძენს, რომ რეალურად პრობლემა უფრო ღრმაა და ბაღი სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს.

მართლაც საინტერესოა, რატომ გახდა საჭირო რამდენიმე წელში „მწვანე შედევრად“ აღიარებული ბაღის სრული რეაბილიტაცია, მით უმეტეს, იმ ფონზე, რომ თავის დროზე, პატრიკ ბლანიცა და იდეის ავტორებიც ირწმუნებოდნენ, მისი შენახვა განსაკუთრებულ ხარჯებთან არ იქნებოდა დაკავშირებული, მოსავლელადაც მარტივი იქნებოდა, ხოლო გამუდმებული და სწორი მოვლის შემთხვევაში, არანაირი პრობლემები არ შეიქმნებოდა. **„ამ ბაღის შენახვა ძვირი ნამდვილად არ ჯდება, უბრალოდ პრობლემა ისაა, რომ თავიდანაა გასაკეთებელი ნაჭერი და სარწყავი სისტემაც მოსაწესრიგებელია, რისი თანხაც წელს ბიუჯეტში არ გვედო. გასაკვირი არაა, რეაბილიტაციას რომ საჭიროებს, რადგან ბაღი 4-5 წლის წინ გაკეთდა, ჯვალოს ნაჭერი, რომელზეც მცენარეებია დამაგრებული, დაძველდა, ვეღარ ინარჩუნებს მიწას, მცენარეებს... რადგან რეაბილიტაციის თანხა ბიუჯეტით არ ყოფილა გათვალისწინებული, მოვაშორეთ გამხმარი მცენარეები და ახლები დავრგეთ“,** — ამბობს ნიკა ბურდული, რომელსაც კითხვაზე — რა დაუჯდება სახელმწიფოს „ვერტიკალური ბაღის“ სრული რეაბილიტაცია, ერთგვაროვანი პასუხი არ აქვს: **„არქიტექტორია საჭირო, რომელიც დათვლის ხარჯს იმიტომ, რომ საქმე მხოლოდ მცენარეებთან არ გვაქვს, მოსაწესრიგებელია სარწყავი სისტემა და რკინის კონსტრუქციებია, რასაც სპეციალისტის შეფასება სჭირდება. შემდეგი წლისთვის აუცილებლად გავითვალისწინებთ ხარჯს — ძალიან ლამაზია და ცოდოა.**

კიდევ ერთხელ ვაცხადებ — ჩემი თვალით ვნახე, როგორ ირგვებოდა ახალი მცენარეები, სარწყავი სისტემის რეაბილიტაციაა საჭირო, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ მცენარეები ხმება“.

არსებულ პრობლემას უფრო სერიოზულად უყურებს საკრებულოს დეპუტატი ნაციონალებიდან **ირაკლი ნადირაძე** და ყველაფერში თბილისის მერიას ადანაშაულებს: **„ეს იყო უნიკალური მწვანე სტენდი, გაკეთდა თბილისისთვის და შესაბამისად, მის მოვლა-შენახვაზე პასუხისმგებელი იყო კომპანია, რომელსაც ევალებოდა რაიონის გამწვანებაზე ზრუნვა... საჭირო იყო ხშირი მორწყვა და სასუქის მიწოდება, თუმცა მათ, როგორც ჩანს, ისევე, როგორც დანარჩენ შემთხვევებში, დაავიწყდათ მორწყვა და სტენდმა დაიწყო ჭკნობა“.**

როგორც ჩანს, არსებულ ვითარებაში ყველას თავისი სიმართლე აქვს და არაა გამორიცხული ასეც ყოფილიყო, თუმცა ისიც ფაქტია, წლების მერე არც ის ყვავილები და ბალახი იქნება ახალდარგულივით... მაგრამ აქ უფრო საინტერესო ისაა, რატომ გახდა მთლიანად გამოსაცვლელი სარწყავი სისტემა, თავიდანვე ხომ არ დაუშვეს რაიმე ხარვეზი და ნახევარფაბრიკატი ვერტიკალური ბაღი არ ჩაგვაბარა ბატონმა ბლანმა? **„რაც შეეხება სარწყავ სისტემას, არ გამოუყენებიათ განსაკუთრებული ტექნოლოგიები, რომ შეკეთება შეუძლებელი ყოფილიყო, ძალიან მარტივად შეიძლებოდა ამის მოგვარება, მაგრამ არ გააკეთეს და შეიძლება მიზანმიმართულად მოიქცნენ ასე. ახლა კი რამდენად შეძლებენ შეცდომის გამოსწორებას, ნამდვილად არ ვიცი. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არანაირი წესების დარღვევით არ გაკეთებულა ბაღი და მუდმივი განახლების, სწორი მოვლის პირობებში, იყო რამდენიმეწლიანი მინიმუმი... ასეთ მდგომარეობაში არ იქნებოდა, მუდმივად რომ მოევლოთ. ფაქტია, ამ სტენდმა ჭკნობა დაიწყო ბოლო რამდენიმე თვეა. შარშან ჰქონდათ ხარვეზები გამწვანებასთან დაკავშირებით და შესაძლოა, ბევრი არაფერი დაურგავთ, მაგრამ რაც დარგეს, იმის მორწყვასა და შენახვა-პატრონობაზე ტენდერი არ გამოუცხადებიათ. ერთ-ერთი მიზეზი, ამ სტენდის ჭკნობის, ესეცაა“.**

მიზეზებზე საუბარი შეიძლება ახლა უადგილოც იყოს და „გამორჩათ“, ალბათ, ხმამაღალი ნათქვამია მაგრამ **„ფაქტია, რაც ნარმანია მერი გახდა, ხელშეკრულება არავისთან გაუფორმებიათ მცენარეთა მოვლა-შენახვაზე“,** — ასეთია **ირაკლი ნადირაძის** არგუმენტი, რასაც მერიის გამწვანების სამსახური იმ არგუმენტს უპირისპირებს, რომ მცენარეები ნამდვილად დარგეს და მათ გასაზრდელად დროა საჭირო, მაგრამ ნადირაძე უფრო შორს მიდის და ამბობს, რომ **„ეს ადამიანები ვერ გაერკვნენ, ვინ რა საქმე უნდა შეასრულოს. ესაა თავისმართლება და არაკომპეტენტურობის მწვერვალი... წინა ხელისუფლების პირობებში მსგავსი პრობლემა არ შექმნილა და ეს სტენდი ნამდვილად საამაყო იყო“.**

ვისთვის საამაყო, ვისთვის კი ზედმეტი ფუფუნების საგანი — თავის დროზე პროექტს საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგეც გამოუჩნდა არგუმენტებით — ქვეყანაში, სადაც ასეთი მძიმე სოციალური ფონია, ვის აინტერესებს „ვერტიკალური ბაღიო“, მაგრამ ასე იყო თუ, ისე, ბაღმა მალევე მოხიბლა ყველა და ალბათ, ლოგიკასმოკლებულია, არ შევინარჩუნოთ ის, რაც უკვე გაკეთებულია. ვფიქრობ, ფუფუნების საგანი ის უფროა, უკვე გაკეთებული მოიშალოს: **„გასაგებია, რომ ქვეყანაში იმთავითვე უამრავი პრობლემა არსებობს, მაგრამ მაშინ ყველანაირ ინოვაციაზე უარი უნდა ვთქვათ. ეს ქალაქისთვის საამაყო სტენდია და სხვა საუბარი ამ თემაზე, არასერიოზულია... შური ალაპარაკებთ, თვითონ ახალს რომ ვერაფერს ქმნიან, თორემ რაც მეტი სიმწვანე იქნება ქალაქში, მით უკეთესი, მით უმეტეს, ამ პრობლემის გამოსწორება მარტივად შეიძლება და არც განსაკუთრებულ ხარჯს საჭიროებს“,** — ამბობს ირაკლი ნადირაძე და ძნელია არ დაეთანხმო. თანაც თავის დროზე, თავად პატრიკ ბლანმა განაცხადა, რომ მისი „ვერტიკალური ბაღები“ მართლაც არ საჭიროებს განსაკუთრებულ მოვლას, მათი შენახვაც საკმაოდ იაფი ჯდება — მთავარია დროულად მოირწყას და სასუქი მიეწოდოს...

ფაქტია — ბლანის „ვერტიკალური ბაღები“ ნამდვილი ხელოვნებაა — ესაა მცენარეთა ერთობლიობა, რომელთაც შეუძლიათ ვერტიკალურად განვითარება და ჰარმონიულად ერწყმიან ერთმანეთს ფერით, ზომით, ფოთლების ფაქტურით და ქმნიან კომპოზიციის რელიეფს. სხვათა შორის, არც კონსტრუქციაა რთული — შენობის ფასადზე მაგრდება მეტალის ჩარჩო, თხელი პლასტიკატის კარკასით, რომელიც დაფარულია პოლიმერული საფარით და აქვს „ჯიბეები“. სწორედ იქ თავსდება მცენარეები. ნაგებობის სისქე რამდენიმე სანტიმეტრს არ აღემატება და მისი მცირე წონა ყოველმხრივ უსაფრთხოა შენობის კედლებისთვის. მართალია, „მწვანე შედევრის“ ღირებულების დადგენა ადვილი არ არის, რადგან სხვადასხვა კომპოზიციაში მცენარეთა განსხვავებული ასორტიმენტი გამოიყენება, მაგრამ სამაგიეროდ „ვერტიკალური ბაღის“ შენახვა არ მოითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას, ბიოლოგიური სისტემა თავისთავად ვითარდება, ხოლო რაც შეეხება მორწყვას, თავად ბლანი აღნიშნავს, რომ ამის უზრუნველყოფა მარტივად შეიძლება — საკმარისია, შენობის თავზე განთავსდეს წყლის ავზი, რომელიც წვიმის წყლით გამუდმებით შეივსება და შედეგად მცენარეებიც მოირწყვება. ეს მცირე ამონარიდია პატრიკ ბლანის ინტერვიუდან, რომელსაც მას შემდეგ მივმართეთ, რაც საქართველოში რამდენიმე ცნობილმა ფლორისტმა, ზოგმა მოუცლელობის, ზოგმა კი ქალაქგარეთ გასვლის უსუსური მიზეზით, კომენტარის გაკეთება არ ისურვა თემაზე, რატომ ჭკნება შეკიდული ბაღი. ალბათ მიზეზი აქაც მარტივია და ვიღაცებისთვის პოლიტიკური ელფერიც დაჰკრავს, მაგრამ ფაქტი ერთია — „ვერტიკალური ბაღი“ „სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს“! ამისთვის კი არც განსაკუთრებული ფინანსებია საჭირო და არც უცხოელი არქიტექტორების მოწვევა. მთავარი მონდომებაა და ურიგო ნამდვილად არ იქნება, თბილისის გამწვანებაზე გამოყოფილი 20 მილიონი ლარიდან, მცირე თანხა „ვერტიკალური ბაღის“ რეაბილიტაციას მოხმარდეს. ჩვენ კი ვიმედოვნებთ, რომ ეს „მწვანე შედევრი“, რომელსაც ბევრი „მიშას შეკიდულ ბაღს“ უწოდებს, ქალაქის ხელისუფლების მიერ „დაკიდებულ ბაღად“ არ იქცევა.

ზოოპარკში ვეფხვმა დამთვალიერებლის დაგლეჯა შარშანაც სცადა

რაფომ ესხმიან თავს ცხოველები ადამიანებს და არის თუ არა დაცული ვოლიერებთან უსაფრთხოების ნორმები

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

26 მაისს თბილისის ზოოპარკში ტრაგიკული შემთხვევა მოხდა — გულიკო ჭიტაძე, რომელიც 25 წლის განმავლობაში ზოოპარკში მომვლელად მუშაობდა, ვოლიერში მყოფმა ვეფხვის სამმა ბოკვერმა სასიკვდილოდ გაიმეტა. ცხოველების მიერ მიყენებული ჭრილობები იმდენად მძიმე იყო, ქალს ხელი მოაჭრეს. მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება, მაგრამ მძიმე ტრავმები აქვს სხეულის სხვა მიდამოებში. არსებობს ინფექციის განვითარების რისკიც.

თბილისის ზოოპარკი დღეს თითქმის ცარიელია. ატრაქციონები გაჩერებულია, არც ბამბის ნაყინით სეირნობს ვინმე. ზოოპარკის პერსონალიც დუმს, საუბარი არავის ეხალისება, მით უმეტეს, იმ ადამიანზე, რომელიც დღეს სიკვდილს ებრძვის. მაიმუნების ვოლიერთან მოხუცი წყვილი გამოჩნდა, შვილიშვილს ასეირნებენ. ბატონი ვაჟა ამბობს, რომ ზოოპარკში დიდი ხანია არ ყოფილა. შვილიშვილი რომ არა, ალბათ არც მოვიდოდა: „ჩემი გოგოს ხათრით მოვედით, თორემ აქ სიარული დიდად არ მომწონს. ერთსა და იმავე ზომის ვოლიერში დღეს სამი სრულიად განსხვავებული ცხოველის ნახვა შეგიძლიათ. მაგალითად, ეს ნაცრისფერი მაიმუნი, დათვი და ვეფხვი, რომელიც ფართის სიმცირის გამო ადგილს ვერ პოულობს. სპეციალისტი არ ვარ, მაგრამ მგონია, რომ ამ ცხოველებს განსხვავებული ფართი სჭირდებათ. არ ვიცი, იმ ქალბატონის შემთხვევაში რა მოხდა, მაგრამ... ცხოველთან ვერასოდეს იქნები დაცული“.

იმ ვოლიერის ნახვა გადავწყვიტე, სადაც გულიკო ჭიტაძეს მის მიერ გაზრდილი ვეფხვის ბოკვრები თავს დაესხნენ. ერთ ვოლიერში თეთრი ვეფხვები ბინადრობენ, მეორეში ვეფხვი „სალი“ და ბოკვრები, რომელმაც მომვლელი დაგლიჯეს. ერთ-ერთ ვოლიერს გისოსებზე რკინის ბადე აქვს აკრული. ამბობენ, ეს ბადე მას შემდეგ ააკრეს, რაც შარშან, ვეფხვი ერთ-ერთ მნახველს დაესხა თავს. იმ ვოლიერზე, სადაც რამდენიმე დღის წინ უბედური შემთხვევა მოხდა, ბადე არაა აკრული. ალბათ, ბადე რომ ყოფილიყო, ვეფხვს ნაკლები შესაძლებლობა ექნებოდა, ვოლიერიდან თათი გამოეყო და ზოოპარკის თანამშრომელს თავს დასხმოდა.

ზოოპარკის დირექტორი ზურაბ გურიელიძე ადასტურებს, რომ შარშან მსგავსი შემთხვევა მართლაც მოხდა, თუმცა განმარტავს, რომ მსგავსი რკინის ბადეების გისოსებზე დამაგრება მიზანშეწონილი არ არის — ეს გისოსებიდან ცხოველებისთვის საკვების მიწოდებასაც გაართულებს და ისიცაა შესაძლებელი, მტაცებლები მასზე აცოცდნენ.

ზურაბ გურიელიძე: — არ ვიცი რატომ გადაწყვიტა ქალბატონმა გულიკომ ვოლიერთან ახლოს მისვლა. არსებობს უსაფრთხოების გარკვეული წესები. შესაძლოა ვეფხვს რაიმე ეჭირა პირში და ქალბატონმა გულიკომ გადაწყვიტა მიახლოება. ყოფილა შემთხვევა, დამთვალიერებლებს გადაუგდიათ ცელოფნის პარკები, რაც ცხოველებისთვის მაღალი რისკია — რომ გადაყლაპოს, მოკვდება. ცხოველთან მისვლა დასაშვებია მაშინ, როცა არსებობს ამის მიზეზი. გუშინ მაგალითად ერთ ვეფხვს დაზიანებული ეშვი დავუთვალიერე. არ ვიცი, რა მოხდა. სამწუხაროდ, ქალბატონ გულიკოს ჯერ ვერ ვესაუბრე ამაზე. ყველაფერი რამდენიმე წამში მოხდა. ჩვენ გვყავს აგრესიული ცხოველები, მაგრამ ეს ვეფხვი ძალიან მშვიდი იყო, ყველაზე წყნარი მტაცებლებს შორის.

— შესაძლებელია, 26 მაისს ჩატარებული ღონისძიებები გამხდარიყო ცხოველების გაღიზიანების მიზეზი და ისევ იგეგმება თუ არა ზოოპარკის გადატანა გარეუბანში?

— იმ დღეს რამდენჯერმე გადაიფრინა თვითმფრინავმა, მაგრამ არ მგონია, ამას ცხოველი გაეღიზიანებინა. ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თვითმფრინავს დაბლა რომ გაეფრინა — ცხოველი მაშინ ფრთხება, როცა ხმა ძლიერია. თეორიულად ეს შესაძლებელია. რაც შეეხება ზოოპარკის გადატანას, პროექტი ძალაშია, ტერიტორია გამოყოფილია და მიმდინარეობს მუშაობა.

— ქალბატონი გულიკოს მკურნალობის ხარჯებს ვინ აანაზღაურებს?

— იმ თანამშრომლებს, რომლებსაც ხშირი შეხება აქვთ ცხოველებთან, აქვთ დაზღვევა. თუ საჭირო გახდა, ზოოპარკი ყველა საჭირო თანხას დაფარავს. ქალბატონი გულიკოც და მისი მეუღლეც, რომლებიც 25 წელია ამ საქმეს ემსახურებიან, ჩვენთვის ძალიან ძვირფასი ადამიანები არიან.

ვერსია გულიკო ჭიტაძის მეუღლეს, მალხაზ ჭიტაძესაც ესაუბრა. არც მან იცის, კონკრეტულად რა მოხდა და რატომ დაესხნენ თავს მის მეუღლეს ბოკვრები.

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

აფხაზური ენა გადაშენების პირასაა

სარეკლამო ბანერები სოხუმში

რა პრობლემების წინაშე დგანან აფხაზეთის მოქალაქეები, რა ართულებს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს და რას აკეთებს აფხაზეთის მთავრობა ენის გადასარჩენად

29 წლის მარინა არშბა 20 წელია ანკარაში ცხოვრობს. აფხაზეთის ომის შემდეგ მისი ოჯახი იძულებული გახდა, სოხუმი დაეტოვებინა და საცხოვრებლად თურქეთში გადასულიყო. დღეს აფხაზეთთან მხოლოდ ერთი რამ აკავშირებს — აფხაზური ენა. მარინას ინგლისურად ვესაუბრე, რადგან ქართული არ იცის, მე კი — აფხაზური: „აფხაზეთის ომის შემდეგ, 90-იან წლებში ჩემი ოჯახი ჯერ სამსუნში გადავიდა, ნათესავებთან, შემდეგ ანკარაში. აქ 20 წელია ვცხოვრობთ. იურიდიულ ფაკულტეტზე ვსწავლობ. ოთხ ენას ვფლობ, მშობლიური კი აფხაზურია. ოჯახში მხოლოდ აფხაზურად ვსაუბრობთ. ბავშვობიდან ასე იყო. აფხაზურის არდავიწყება ჩემთვის უმნიშვნელოვანესია — ეს ენა იმ ადგილთან ასოცირდება, სადაც დავიბადე“ აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ, აფხაზურ ენაზე მოსაუბრე ადამიანების რიცხვი კატასტროფულად, არაოფიციალური მონაცემებით, სამჯერ შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში აფხაზური ენა ჯერ კიდევ მიიჩნევა ერთ-ერთ სახელმწიფო ენად, დომინანტი რეგიონში მაინც რუსულია. იუნესკომ აფხაზური გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ენების სიაშიც შეიყვანა. „ვერსია“ შეეცადა გაერკვია, რა სტრატეგია აქვს აფხაზეთში განათლების სისტემას, რა გავლენას ახდენს მასზე რეგიონში არსებული რუსიფიკატორული პოლიტიკა, რა უნდა გაკეთდეს გადაშენების პირას მყოფი ენის შესანარჩუნებლად და რაც მთავარია, ამ ფონზე რამდენად შესაძლებელია ე.წ. საზღვარსმიღმა მყოფ ადამიანებთან ურთიერთობის აღდგენა. ამის გასარკვევად, „ვერსია“ ენათმეცნიერ ავთანდილ არაბულს დაუკავშირდა.

— ბატონო ავთანდილ, სანამ განვიხილავთ რუსიფიკატორული პოლიტიკის გავლენას აფხაზურ ენაზე, მისი წარმომავლობის შესახებ გვიამბეთ. რამდენი ადამიანი საუბრობს დღეს აფხაზურად და აქვს თუ არა ამ ენას რაიმე კავშირი რუსულ (სლავურ) ენებთან?

— აფხაზური ყოველთვის განიხილებოდა, ქართველურ ენებთან ახლოსმდგომ ენად. რუსულთან მას არანაირი კავშირი არ აქვს. თავდაპირველად იყო მცდელობა, ქართული ანბანი გამოყენებულიყო, თუმცა ბუნებრივია, რუსეთმა ეს არ მოინდომა. ამიტომ ანბანი კირილიცას საფუძველზე შეიქმნა. აფხაზური დამწერლობა ცხადყოფს, რომ აფხაზურ ენაში ასოთა დიდი რაოდენობა რუსულს ჰგავს. აფხაზურად, აფხაზეთის გარდა, თურქეთში, სირიასა და ერაყშიც საუბრობენ. ჯამში ამ ადამიანების რიცხვი ასი ათასამდე მერყეობს. 90-იან წლებში განვითარებული მოვლენების შემდეგ აფხაზეთში მცხოვრები ქართული მოსახლეობის წილი შემცირდა. რუსულის კი — გაიზარდა. დღეს აფხაზურ ენაზე მოსაუბრე ადამიანების რაოდენობა არამცთუ განახევრდა, არამედ შესაძლებელია 1/3-იც იყოს.

— რამდენად ეფექტურად უძლებს აფხაზური ენა რუსული ენის შემოტევას და რა უნდა გაკეთდეს მის შესანარჩუნებლად?

— რუსეთის გავლენა აფხაზეთში უფროდაუფრო გაძლიერდა. ოფიციოზი, ფაქტობრივად, რუსეთიდან იმართება, სხდომებიც რუსულად ტარდება. აფხაზური ენის საარსებო სივრცე შეიზღუდა. სახელმწიფო სტატუსის მქონდე ენა საოჯახო სტატუსის ენად გადაიქცა. დღეს აფხაზეთში არსებული პოლიტიკური ვითარების გამო, საერთაშორისო ორგანიზაციებიც ვერ ახერხებენ იქ ჩასვლას და სათანადოდ მუშაობას. პირველ რიგში აუცილებელია, კანონში გაწერილი ნორმები შესრულდეს. უზრუნველყოფილი უნდა იყოს კონსტიტუციის მუხლი, სადაც წერია, რომ ქართული და აფხაზურია სახელმწიფო ენები. მიმაჩნია, რომ სკოლებშიც აფხაზურ ენაზე უნდა იყოს სწავლება, თუმცა ამისთვის ჯერ იქ ვითარების მოწესრიგებაა საჭირო. ენის გარდა, იქ ეთნოგრაფია და ფოლკლორიც დაუცველია, რადგან საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები მხოლოდ მათთვის სასარგებლო პოლიტიკის გატარებაზე ფიქრობენ.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის დირექტორი **თეიმურაზ გვანცელაძე** აცხადებს, რომ რაც მეტი დრო გადის, ოკუპირებულ ტერიტორიასა და საზღვრისმიღმა დარჩენილ ქართველებს შორის ურთიერთობები უფრო ცივდება. მისი განმარტებით ენის პოპულარიზაციისა და გადარჩენისთვის სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული მხარდაჭერაა საჭირო და მხოლოდ აფხაზეთის განათლების სამინისტროს ნება და რესურსი ამისთვის საკმარისი არ არის.

— რაც მეტი დრო გადის, მით მეტად შორდება ეს ორი საზოგადოება ერთმანეთს. ყველაზე ცუდი ისაა, რომ მოდის ახალი თაობები, რომელთაც ურთიერთობა არ აქვთ, ერთმანეთის შესახებ არაფერი იციან. მხოლოდ უარყოფით კონტექსტში მიეწოდებათ ინფორმაცია. ახალგაზრდებმა მხოლოდ ის იციან, რომ მოხდა კონფლიქტი. აფხაზეთში თაობებს სკოლიდანვე უნერგავენ ქართველების სიძულვილს. ეუბნებიან, რომ აფხაზის პირველი მტერი რუსი კი არა, ქართველია. ეს ძალიან ცუდია, თუმცა ამის დაძლევა შესაძლებელია. ბოლოს და ბოლოს, არც ისე დიდი ხნის წინ ევროპაშიც გვქონდა ასეთი მაგალითი. გერმანელებმა გაჟლიტეს ებრალები, მაგრამ სწორი პოლიტიკის გამო ამ ორ ხალხს შორის დღეს არაჩვეულებრივი ურთიერთობაა. ურთიერთობების გამოსწორებას ხელშეწყობა სჭირდება.

— ენის წართმევა ეროვნულობის, ისტორიის წართმევის ტოლფასია. რა შედეგს მოიტანს აფხაზური ენის განადგურება?

— ლოზუნგი — დაე, იყოს ქართული სხეული და რუსული სული, ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში არსებობდა. ეს დებულება ეხება, პრაქტიკულად, ყველა ეთნიკურად არარუსს, მათ შორის აფხაზეთში მცხოვრებსაც. როცა ერი დედაენას კარგავს, ცოტა ხანს ინარჩუნებს ეთნიკურ თვითშეგნებას, მაგრამ საბოლოოდ, აღარც ეთნიკური იდენტობა შერჩებათ და მხოლოდ ის ეცოდინებათ, რომ აფხაზური გვარისანი არიან. აფხაზურ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი მხოლოდ ქაღალდზე აქვს. აქ ერთი საინტერესო დეტალია. კონსტიტუციაში თავიდან ჩაიწერა, რომ აფხაზეთში სახელმწიფო ენა აფხაზური იქნებოდა. სხვა ენა ნახსენები არ იყო. მოსკოვში განგაში ატყდა. ზეწოლის შედეგად, ზუსტად 1 კვირაში, კონსტიტუციაში ტექსტი შეიცვალა და ჩაიწერა, რომ სახელმწიფო ენა, აფხაზურთან ერთად, რუსულიცაა. შეიძლება ითქვას, აფხაზი ხალხის უფლებები მოსკოვმა წყალში ჩაყარა. დღეს აფხაზური ენა პრესტიჟული აღარ არის. ამის გამო მოსახლეობა აფხაზურის შესწავლით დაინტერესებული არ გახლავთ. თაობები გაიზრდება იმ შეგნებით, რომ რუსული ენა უფრო პერსპექტიული და სასარგებლოა. ეს დამღუპველი გარემოებაა, რომელიც საბოლოო განაჩენს გამოუტანს აფხაზურ ენას.

— ოკუპაციის პირობებში, როგორ უნდა ვებრძოლოთ აფხაზური ენის გადაშენებას?

— სანამ ოკუპაციის რეჟიმი გრძელდება, გასაქანი, აფხაზური რეალურად იყოს სახელმწიფო ენა, არ არსებობს. ოკუპაციის დასრულების შემდეგ, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ამ ენას ჰქონდეს გამოყენების ფართო ასპარეზი. დღეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და კულტურის სამინისტროს არ აქვს ბერკეტი, აფხაზეთში არსებული ენობრივი ვითარება შეცვალოს, მაგრამ ჩვენ ბევრი სხვა რამ შეგვიძლია — აფხაზებმა უნდა დაინახონ, რომ არ ვართ მათი დედაენის მტრები და მათზე გული შეგვტკივა. შესაძლებელია, შეიქმნას სხვადასხვა დონის სახელმძღვანელო, მაგრამ ამას დიდი თანხები სჭირდება. სამინისტრო, მცირე შესაძლებლობების ფონზე, ამ მიმართულებით ნამდვილად ბევრ რამეს აკეთებს. ამ საქმეს სახელმწიფოსგან სერიოზული მხარდაჭერა სჭირდება. ენისთვის სათანადო ხელშემწყობი პირობების შექმნა ხელისუფლების პრეროგატივა უნდა გახდეს. შარშან, იმის გასაგებად, რა არის საჭირო, რომ აფხაზური ენის კონსტიტუციური სტატუსი ქაღალდზე არ დარჩეს, სხვადასხვა ოფიციალური სტრუქტურიდან რამდენიმე ადამიანმა მოგვმართა. ღონისძიებები წარვადგინეთ, მაგრამ ამით დამთავრდა ყველაფერი. ღონისძიება ღონისძიებისთვის გატარდა და მერე ნაბიჯიც არ გადადგმულა. უკვე წელი გავიდა და ამ საქმით ჯერ არავინ დაინტერესებულა.

იმის გასარკვევად, რა პროექტებს ახორციელებს აფხაზური ენის გადასარჩენად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, „ვერსია“ მინისტრის მოადგილეს, **მანანა ქვაჩახიას** დაუკავშირდა.

— აფხაზური ენის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, სამინისტრო წლებია სხვადასხვა მიზნობრივ პროგრამასა და ღონისძიებას ახორციელებს. დამწყებთათვის შეიქმნა აფხაზური ენის შესწავლის ელექტრონული ორდონიანი პროგრამა, რომელიც სამინისტროს ვებგვერდზეა განთავსებული. მისი გამოყენება ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეუძლია. ამ მეთოდით ენის სრულყოფილი შესწავლა ვერ მოხდება, თუმცა ურთიერთობისთვის საკმარისი სასაუბრო უნარების და ცოდნის განვითარებას ხელს ნამდვილად შეუწყობს. სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სათანადო სახელმძღვანელოების არარსებობა. ჩვენი მიზანია, სკოლისთვის სახელმძღვანელოები დაიბეჭდოს. ეს შედარებით რთული პროცესია — მსგავსი წიგნები აფხაზეთშიც არ არსებობს. რამდენიმე თვის წინ ამ საკითხებზე დისკუსია გაიმართა. შევიმუშავეთ მომავალი მოქმედების გარკვეული სტრატეგია. ვახორციელებთ წარმატებული სტუდენტების მხარდამჭერ პროგრამასაც და უკვე წლებია ვაფინანსებთ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ფილოლოგიის სტუდენტებს.

— რამდენი სტუდენტი სწავლობს დღეს ამ ფაკულტეტზე?

— შარშან ხუთი სწავლობდა. წელსაც დაახლოებით ამდენია. ყველა ქართველია. უმნიშვნელოვანესია, რომ მათ გამოთქვეს აფხაზური ენის შესწავლის სურვილი. ამასთან, აფხაზეთის 13 საჯარო სკოლიდან სამში აფხაზური ენა დღეს არჩევითი საგანია. ინტენსიურად ვმუშაობთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, რომ 2015-2016 სასწავლო წლისთვის სკოლების რაოდენობა გაიზარდოს. 6-მდე მაინც. ეს კვალიფიციური კადრების დეფიციტთანაცაა დაკავშირებული, მაგრამ ჩვენი მიზანია, ეს ენა ისწავლებოდეს არა მხოლოდ აფხაზეთის საჯარო სკოლებში, არამედ საქართველოშიც.

— ფიქრობთ, მოსწავლეები აფხაზურის შესწავლას მოისურვებენ და ზოგადად, რამდენად გაამართლა სკოლებში აფხაზური ენის არჩევით საგნად შეტანამ?

— ამაზეც ვიმსჯელეთ, რადგან აფხაზური, ფაქტობრივად, შიდამოხმარების ენად იქცა. საჭიროა გაცნობიერება, რომ ენა ცალკეული ეთნოსის, მისი კულტურისა და იდენტობის შენარჩუნების გზაა. ახალგაზრდებთან საჭიროა აფხაზური ენის პოპულარიზაცია. მათ უნდა გააცნობიერონ ამ ენის დაცვა-განვითარების მნიშვნელობა. სკოლებში აფხაზური ენის შეტანის შედეგი ის არის, რომ მოსწავლეები წერენ და კითხულობენ აფხაზურ ენაზე და ელემენტარულ დონეზე ფლობენ სასაუბრო ენას. ვფიქრობ, პოზიტიური ურთიერთობების განვითარებაში ეს სწავლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს. თუმცა, როგორც ვთქვი, რიგი პრობლემები არსებობს. დღეს აფხაზური ენის სპეციალისტების დეფიციტია. საურთიერთობო ენის ფლობა არ ნიშნავს ენის ცოდნას და პედაგოგიური საქმიანობისთვის საკმარისი არ არის.

— გაქვთ საკმარისი დაფინანსება საჭირო პროექტების განსახორციელებლად, მაგალითად სახელმძღვანელოების დასაბეჭდად?

— აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას აქვს ნება, აფხაზურ ენას სათანადო ყურადღება მიექცეს. შესაბამისად, ბიუჯეტიდანაც გვაქვს გამოყოფილი თანხები. თუმცა, ამ მხრივ პრობლემები მაინც არის. გვაქვს ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერაც. მაგალითად, მათი დაფინანსებით დაიბეჭდა აფხაზური ენის ლექსიკონები, ქართულ-აფხაზური სასაუბრო...

ვერსიანიუსი

შვეიცარიის პოლიციამ კორუფციის ბრალდებით ფიფას ხელმძღვანელობა დააკავა

როგორც ირკვევა, დაკავებულები არიან ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის 2 ვიცე-პრეზიდენტი — ჯეფრი უები და ეუხენიო ფიგერედო. დაკავებულთა შორის სხვა ხელმძღვანელი პირებიც არიან.

მთლიანობაში, დაპატიმრების ორდენი „ფიფას“ 10-ზე მეტ წევრზეა გაცემული, თუმცა ყველა მათგანი ამჟამად შვეიცარიაში არ იმყოფება.

დაკავებულები კორუფციაში არიან ეჭვმიტანილები, გამოძიება მათ 100 მილიონ დოლარზე მეტ თანხას ედავება. მათი ექსტრადირება აშშ-ში მოხდება.

ფიფას ლიდერები კი ციურიხში ყოველწლიურ შეხვედრაზე იკრიბებიან, რომელიც 29 მაისს უნდა გაიმართოს სადაც ორგანიზაციის ახალი პრეზიდენტი უნდა აირჩიონ. ფიფას ამჟამინდელი პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი მეხუთე ვადით აპირებს არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის წარდგენას.

„პირველი“

„რუსეთმა უნდა გაიხსენოს, რომ საქართველო არსებობს“

იური კობაღაძე ქართულ გეოპოლიტიკაზე, ქართულ სამზარეულოსა და სტუმართმოყვარეობაზე

იური კობალაძე რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქართველია. წარსულში რუსეთის ფედერაციის დაზვერვის გენერალ-მაიორი გახლდათ. დღეს ცნობილი პუბლიცისტი და პროფესორი, მოსკოვის სახელმწიფო საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეა. „ლენტა.რუ“-სთან ინტერვიუში, იური კობალაძე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე და მათი დარეგულირების გზებზე საუბრობს. კობალაძე ასევე რამდენიმე რჩევას აძლევს მათ, ვინც საქართველოში დასვენებას გადაწყვეტს.

— ბატონო იური, რა შეიცვალა ბოლო წლებში რუსულ-ქართულ ურთიერთობებში?

— მოხდა ის, რაც მოხდა. როცა სტუდენტი ვიყავი, ჩემ თაობას მოსკოვი და ზოგადად რუსეთი განსაკუთრებით იზიდავდა. იმხანად, დღეში მგონი 7-8 რეისზე მეტი დაფრინავდა რუსეთის მიმართულებით. სად ვისწავლოთ? — მოსკოვში. სად გავერთოთ? — მოსკოვში. მაგრამ ერთ საათში ყველაფერი მიუწვდომელი გახდა. მაშინ, როცა რუსებისთვის საქართველო დღემდე ღიაა. კი ბატონო, მობრძანდი, ვიზას მოგცემენ, საზღვარზე ბოთლ ღვინოსაც გაჩუქებენ და მადლობასაც გადაგიხდიან, რომ ჩამოხვედი. აი, ქართველისთვის კი მოსკოვში მოხვედრა ნამდვილი ტანჯვაა.

— ვიზებს არ აძლევენ?

— აძლევენ, მაგრამ რთულად. უნდა გადაიხადო რიგში დგომის, რიგის დაცვის, ვიზის საფასური. ყველაფერი დროში იწელება და რთულდება. ეს კარგად ვიცი. ხშირად მთხოვენ დახმარებას, ამიტომ დღეს ნაკადი მიდის მხოლოდ ერთი მიმართულებით. რუსეთში კი, ფაქტობრივად, აღარავინ მოდის. კიდეც ვხუმრობ ხოლმე, რომ მოსკოვში, სოკოებივით მომრავლებული ქართული რესტორნების რიცხვი, რუსეთში მყოფი ქართველების რიცხვს აჭარბებს. იმ ცნობილი გაძევების თუ დეპორტაციის შემდეგ, მგონი, აქ ქართველები არც დარჩნენ. მე უკანასკნელი ვიყავი.

— შესაძლებელია, ამ კუთხით რაიმე გადაწყვეტილება სწრაფად მიიღონ?

— ვითარება ძალიან რთულია. არ ვიცი როგორ გადაწყდება სავიზო რეჟიმის გაუქმების საკითხი. არადა, მიმაჩნია, რომ ამის გაკეთება აუცილებელია. ქართველებს ხომ არ შემოუღიათ სავიზო რეჟიმი რუსეთთან? მათ შეწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობები, მაგრამ ეს სხვა რამაა. რუსეთმა უნდა გადადგას შემხვედრი ნაბიჯი. ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა ურთიერთობებს ქვეყნებს შორის და რუსეთის აღქმას საქართველოს მიმართ. იზრდება თაობა, რომელიც არ არის ნამყოფები რუსეთში. სამაგიეროდ, მათ აქვთ საშუალება, გაემგზავრონ რომში, პარიზში, ლონდონში... ყველგან, სადაც მოესურვებათ. ჯერჯერობით, ვერ ვხედავ ვერანაირ ნიშნებს, რომ სავიზო რეჟიმი მოიხსნება.

— ამას რა უშლის ხელს?

— ოფიციალური პოლიტიკა. არანაირ წინსვლას ახლო მომავალში არ ველი, რადგან საქართველო არ ამბობს უარს ევროპულ ორიენტაციაზე და ნატო-ში შესვლაზე, რუსეთისთვის კი ეს დაუშვებელია.

— ამ ფონზე, საქართველოს რიგითი მოქალაქეები რუსეთს მეგობრად მიიჩნევენ თუ არასაყვარელ მეზობლად?

— არასაყვარულ მეზობლად, მაგრამ ეს არ ვრცელდება რუსებზე. შეგიძლიათ ნებისმიერ რუსს ჰკითხოთ, ვინც საქართველოში იყო. არ მსმენია, ვინმეს დაეჩივლა ანტირუსულ ქმედებებზე საქართველოში, შეურაცხყოფაზე. ამ მხრივ ქართველები ძალიან მომთმენები არიან. საქართველოში, მაგალითად, ანტისემიტიზმი არასოდეს ყოფილა. ყველგან, განსაკუთრებით თბილისში, შეინიშნება კულტურების შერწყმა — ყველა ეკლესია, მეჩეთი, სინაგოგა, ერთ მტკაველზეა. მე თავად ვარ ამ ქართული ინტერნაციონალიზმის სკოლის შვილი. ქართველები სტუმართმოყვარეები არიან, რასაც ხასიათის გარდა, ბევრი მიზეზიც აქვს, მათ შორის მატერიალური დაინტერესებაც. ანუ რუსები არიან ადამიანები, რომლებიც საქართველოში ხარჯავენ ფულს.

— რას ურჩევთ მათ, ვისაც საქართველოს ნახვა სურს?

— იყიდონ ბილეთი და ჩასხდნენ თვითმფრინავში. იმედი ჰქონდეთ, რომ დაეცემა ავიაბილეთების ფასი. ინტერნეტის საშუალებით, ადვილია, იპოვო სასტუმრო, რომელსაც შენი ჯიბე განვდება, რადგან საქართველოში მრავალვარსკვლავიანი სასტუმროებიცაა და საოჯახო ტიპისაც. აირჩიონ მარშრუტი. საქართველოში ბევრი რამაა სანახავი: უძველესი ქალაქები, მთა, ზღვა. ვურჩევ, ბათუმში ჩავიდნენ. იქ ბებია ცხოვრობდა და არდადეგებს ვატარებდი. რა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა დააგემოვნონ ქართული უგემრიელესი კერძები. საქართველოში უამრავი რესტორანია, მგონი, იმაზე მეტი, ვიდრე მთელ მსოფლიოში. იქ ძალიან გემრიელად ამზადებენ. მოკლედ, არ მოიწყენთ.

— მართალია, რომ ქართველი საგზაო პოლიციელები ფულს არ იღებენ?

— აი, ეს მართლაც ფანტასტიკაა! ეს საკუთარ ტყავზე გამოვცადე. სააკაშვილის ხელისუფლებამ ამ თვალსაზრისით კოლოსალური ნახტომი გააკეთა. საქართველოში ახლა არის პოლიცია, რომელიც საგზაო ფუნქციებს ასრულებს. ვაკვირდებოდი, როგორ ეხმარებოდა პოლიციელი მძღოლს ბორბლის გამოცვლაში, რაც მანამდე წარმოუდგენელი იყო. მართლაც, ამ სფეროში საქართველოში საოცარი ცვლილებები მოხდა.

— თურქეთი დიდ პიარკამპანიას აწარმოებს ჩვენი ტურისტების მისაზიდად, საქართველო კი ასე არ აქტიურობს. რატომ?

— ვერ გიპასუხებთ ამ კითხვაზე. არასოდეს შევდივარ ტურისტულ საიტებზე, რადგან იქ საკმაოდ რეკლამაა. საქართველოს ჯერ კიდევ არ შეუძლია, ამ მხრივ თურქეთს კონკურენცია გაუწიოს. იყო დრო, ვამაყობდით, რომ ღამით, თვითმფრინავით როცა გადაუფრენდი, საქართველო კაშკაშებდა, თურქეთი კი, ჩაბნელებული იყო. ბოლო 30 წელში ბევრი რამ შეიცვალა — თურქეთი გაბრწყინებულია, საქართველო კი — ჩაბნელებული. თურქებმა გიგანტური ნახტომი გააკეთეს, შექმნეს წარმოუდგენელი ინფრასტრუქტურა. რუსები და ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეები ამაში ნამდვილად დაეხმარნენ, რადგან დაიწყეს იქ ჩასვლა და ფულის ხარჯვა. უზარმაზარი კურორტები აშენდა. თუ არ ვცდები, იქ დამსვენებლების 90% რუსია. საქართველოში კი, როგორც ამბობენ, სომხები, ყაზახები ისვენებენ. ისინი, ვისაც ზღვა არ აქვს. ხალხი სიამოვნებით ჩადის ბათუმში.

— რუსეთში ძლიერი ქართული სათვისტომოა?

— ვშიშობ, არა. სხვადასხვა ჯგუფი არსებობს. ისინი პერიოდულად მირეკავენ, ჩნდებიან. ძველმა თაობამ, საბჭოთა კავშირის ფრაგმენტმა, თვითლიკვიდაცია მოახდინა. ჩნდებიან საეჭვო პირები, რაღაც მითიურის აღდგენის იდეით და ჩემ „დავერბოვკებასაც“ კი ცდილობენ.

— ეს ალბათ სასაცილოა, თუ თქვენ წარსულს გავითვალისწინებთ.

— მე, რა თქმა უნდა, ტკბილი ლუკმა ვარ, თუ გავითვალისწინებთ ჩემს ბიოგრაფიასა და კავშირებს რუსეთთან, მაგრამ ვერ ვხედავ ვერანაირ აქტიურ ქმედებას. საერთოდ, ჩემი აზრით, სათვისტომოები ბოლო დროს არც არსებობს, გამონაკლისი სომხური სათვისტომოა, რომელიც ახლა იფურჩქნება.

— რუსეთში არსებობს დღეს რაიმე გაფრთხილება საქართველოს წინააღმდეგ?

— იცით, 2008 წლის შემდეგ, როცა ნამდვილად მოხდა დეპორტაცია და ანტიქართული განწყობა, ჩემი აზრით, შეიცვალა. ზოგადად, რუსები ძალიან მომთმენები არიან და არავის მტრობენ, თუ ეს არ არის მხარდაჭერილი სახელმწიფოს პოლიტიკის მიერ. დღეს ჩვენი მთავარი მტერია — უკრაინა.

— მაგრამ არა უკრაინელები.

— მალე იქნებიან უკრაინელებიც. ვფიქრობ, უკრაინელების დღევანდელი თაობა და ბანდეროვეცები (ულტრანაციონალისტი) — პრაქტიკულად იდენტური ცნებაა. იგივე მოხდა საქართველოს შემთხვევაშიც. ჩემი ქალიშვილი დაიბადა რუსეთში, მთელი ცხოვრება აქ გაატარა და საქართველოს კარგად არ იცნობს. მეზობლებმა დააბეზღეს და შემდეგ მასთან, მოსკოვის ბინაში მივიდნენ საბუთების შესამოწმებლად. მაშინ საქმე უბრალოდ აბსურდამდე მიდიოდა. სკოლებს მითითება ჰქონდათ, აღეწერათ და გაერიცხათ ყველა ქართველი. ვიცნობ ადამიანებს, ვინც იძულებული გახდა, წასულიყო, მაგრამ მე მყავდა მეგობარი... ანეკდოტური ამბავია. სწორედ იმ პერიოდში, გამაჩერა „გაიშნიკმა“ და მომთხოვა საბუთები. ვუთხარი: „არ მინდა, გაჩვენოთ საბუთები, თუ გაჩვენებთ მაშინვე დამიჭერთ“. მან მითხრა: „საიდან მოიტანეთ, რომ უნდა დაგიჭიროთ?“ ვუპასუხე: „ქართველი ვარ“. დიდხანს იცინა, არაფერი აღარ შემიმოწმა და გამომიშვა.

— ამ ყველაფერს საქართველოში როგორ შეხვდნენ?

— საქართველოში ამ ყველაფრის ტირაჟირება ხდებოდა. იყო ისტორიები, როცა ვიღაც კინაღამ მოკვდა თვითმფრინავში, აერიპორტში. ეს ყველაფერი დაძაბულობას ქმნიდა, მაგრამ ის ფართოდ არ გავრცელებულა. ყოველ შემთხვევაში, ჩემი თაობის ადამიანებზე, რომლებიც გაზრდილები არიან რუსულ კულტურაზე, იციან რუსული, ამას არ უმოქმედია. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია, როცა ჩამოდის თეატრალური კოლექტივი, ფესტივალი, სადაც შედის მრავალი ადამიანი. ინტერესი დიდია.

— რას გრძნობენ ახალგაზრდა ქართველები, რომლებიც არ არიან გაზრდილები რუსულ კულტურაზე, მაგრამ ახსოვთ 2008 წლის მოვლენები?

— რთულია ვთქვა, მე ხომ იქ არ ვცხოვრობ. აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარებამ, განსაკუთრებით დაამუხრუჭა ქართულ-რუსული ურთიერთობების დარეგულირება. საქართველო არასოდეს შეურიგდება ოსეთისა და აფხაზეთის მოწყვეტას, რუსეთი კი არასოდეს იტყვის ამაზე უარს. დღეს სპეციალისტები, რომლებიც ჩადიან საქართველოს უნივერსიტეტებში, ლექციებს ინგლისურად კითხულობენ, რადგან ახალგაზრდობამ რუსული არ იცის. იყო რაღაც ინტერესი, ადამიანებს შვილები მიჰყავდათ რუსულის შესასწავლად, მაგრამ დღეს ასე აღარ ხდება. 25 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით ომის შემდეგ, იმას მივაღწიეთ, რომ რუსეთი გადაიხაზა ქართველების, განსაკუთრებით ახალგაზრდების პოლიტიკური რუკიდან.

— ანუ აფხაზეთმა და „სამხრეთ ოსეთმა“ დიდი ჯვარი დაუსვა რუსულ-ქართულ ურთიერთობებს?

— რაც მოხდა, მოხდა. ვფიქრობ, რუსეთმა დაუშვა შეცდომა, როცა ოფიციალურად აღიარა ამ ანკლავების დამოუკიდებლობა მაგრამ, როგორც იტყვიან — „არასოდეს თქვა არასოდეს“. როდესმე ყველაფერი იცვლება და როდესმე ესეც გადაწყდება. მაგრამ დღეს ვერ ვხედავ გამოსავალს. უნდა დაველოდოთ თაობების ცვლას, რომლებიც ალბათ შეძლებენ რაღაც კომპრომისებზე წასვლას.

— შესაძლებელია რაიმეს გაკეთება სახალხო დიპლომატიის დონეზე?

— მახსოვს, ერთხელ საქართველოში, რუსული ენის მასწავლებლები მესაუბრნენ, რომ სკოლებში, რუსულის სწავლის დონე დაბალი იყო. დახმარება მთხოვეს, თუნდაც სახელმძღვანელოების სახით, მაგრამ ამისთვის თითიც არავის გაგვინძრევია. სულ ვამბობდი, მათ შორის საჯაროდაც, რომ ასე არ შეიძლება. თუ ჩვენ მხარს ვუჭერთ თანამემამულეებს, ვალდებულები ვართ, მხარი დავუჭიროთ რუსულ ენას. საბჭოთა დროს ეს ყველაფერი კარგად იყო დალაგებული. დღეს, გასაგები მიზეზების გამო, ყველაფერი დაბალ დონეზეა.

— იქნებ, კულტურულმა თანამშრომლობამ მოახერხოს ამის შეცვლა?

— **იცით**, ჩემი თავი გამოვიჭირე, ვფიქრობდი — მოსკოვში მანქანით რომ მიდიხარ, აფიშებს უყურებ — ჩამოდის სომხური კოლექტივი, სხვებიც, ქართული თითქმის არაა. კი, გაბრიაძე, ბოლო წლებში რეგულარულად ჩამოდის, „მარიონეტების თეატრი“ და პრაქტიკულად სულ ესაა. სად არის რუსთაველის თეატრი? ყველაფერი თავდაყირაა ომის გამო. საერთოდ, იყო პერიოდი, სოციოლოგიური გამოკითხვები ცხადყოფდა, როცა საქართველო ითვლებოდა რუსების მხრიდან ნომერპირველ მტრად. ამერიკელებსაც კი გადაუსწრეს ქართველებმა და საქართველოშიც ასე იყო.

— ანუ, ჩვენი ურთიერთობა ყველაზე დაბალ ნიშნულს გაუტოლდა?

— ვფიქრობ, დიახ. ამაზე ქვევით, უკვე აღარ არსებობს. დიპლომატიური ურთიერთობები უკვე აღარაა, გაცვლა-გამოცვლა, თითქმის არ გვაქვს. არის გამონაკლისები, მაგალითად, რუსული კინოს ფესტივალი, რომელიც იწვევს კოლოსალურ ინტერესს, მაგრამ ეს არის ძალიან ცოტა.

— აინტერესებს კი საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა?

— საქართველო ბევრ რამეში ვალშია რუსეთთან, რუსეთის წყალობით გამოვიდა საქართველო ევროპულ არენაზე. რუსეთი ლოკომოტივია, რომელმაც ამ არენაზე გამოიყვანა საქართველო, უდიდესი კულტურისა და ისტორიის ქვეყანა. ვინ იცოდა მაშინ საქართველოს შესახებ? ამას აფასებენ ქართველები. მაგრამ რუსეთიც ამ როლის შესაბამისად უნდა მოიქცეს. ის არ იქცევა სათანადოდ. რუსეთი უზარმაზარი ქვეყანაა. აიღეთ მაინც საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა მომხდარის გამო, გადმოდგით ნაბიჯები ურთიერთობის დასათბობად. თორემ, აგერ ხვდებიან აბაშიძე და კარასინი და რა? რისთვის ხვდებიან? რაზე ლაპარაკობენ? — მგონი, არაფერზე.

— თქვენ რაზე ილაპარაკებდით მათ ადგილას?

— უნდა გაიხსენოთ, რომ საქართველო არსებობს. გასაგებია, ახლა ძალიან რთულია, შეცვალო აფხაზეთსა და ოსეთთან ხელმოწერილი შეთანხმება. ეს ყველაფერი გამაღიზიანებელია საქართველოსთვის. ქართველები, თავის მხრივ, დემონსტრაციულად არ ამბობენ უარს პროევროპულ, პრომამერიკულ, პრონატოურ ორიენტაციაზე. ეს აღიზიანებს რუსეთს. მაგრამ ავიღოთ მაგალითად თურქეთი. ეს ხაზგასმით არა მეგობრული ქვეყანაა, მისი მონაწილეობით ნატო-ში, მისი ინტერესებით, შავი ზღვის პოლიტიკით... მიუხედავად ამისა, თურქებთან, მგონი, დღეს უფრო თბილი დამოკიდებულება გვაქვს, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრ სხვა ქვეყანასთან, მათ შორის — ქართველებთან. გერმანია, რომელთანაც სისხლისმღვრელი ომი გვქონდა, ბოლო მომენტამდე იყო ჩვენი პირველი მეგობარი. ისტორია გვასწავლის, რომ პოლიტიკური და დიპლომატიური სირთულეები აუცილებლად არ მოქმედებს ადამიანების ცნობიერებაზე. აუცილებელია ურთიერთობების განვითარება, ადამიანური კონტაქტების გაღრმავება, სახელმწიფოებს შორის კავშირი. ამ თვალსაზრისით, რუსეთის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ, ნამდვილად არ მომწონს და არ მაწყობს, მით უმეტეს, რომ ამით სასიცოცხლოდ დაინტერესებული ვარ — დედა რუსი მყავს, მამით კი ქართველი ვარ.

ნინო ლურსმანაშვილი



1.ნიადაგის მყარი ზედაფენა
2. გულიანი ხვეული ნამცხვარი
3.თამბაქოს ბოლის ჩაშვება ფილტვებში
4. საბერძნეთის ეროვნული ვალუტა
5. შეკვიბრება იალქნიანი ნავებით
6.ცოლის დის ქმარი
7. დიდი გრძელკუდიანი ხვლიკი
8. ლითონის საჟღა-რუნებელი
9. კედლის მოსაპირკეთებელი ფილა
10. გარკვეულ მოქმედებათა მიმდევრობა
11. უბანი სურამის დასავლეთ ნაწილში
12. ინგლისელი მუსიკოსი
13. პატარა სამურაბე ლამბაქი
14. ვ. ნაბოკოვის ცნობილი რომანი
15. სულელი, გადარეული
16. ამერიკელი მომღერალი ქალი
17. რაგბის ტერმინი
18.ფიკუსის ნირსახეობა
19. ლატვიის ეროვნული ვალუტა
20. ესკიმოსთა სატვირთო ნავი
21. შეიარაღებული ბრძოლა
22. საერთაშორ. თათბირი მეცნიერულ თემაზე
23. ერთ-ერთი მუშკეტერი
24. აღმოსავლური მაწონი
25. თეატრალური წარმოდგენა
26.პოეტი-მომღერალი შუა ს-ის გერმანიაში
27. მადლობა იაპონურ ენაზე
28. ამერიკელთა მეტსახელი
29. შენობის შიგნითა ეზო
30. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
31. ტიბეტური ხარი
32.მთ. დებულ, რომელსაც დამტკიცება ჭირდება
33. საჭმელების ჩამონათვალი რესტორანში
34. შურისძიების ქალღმერთი
35. ივივეა, რაც ოპიუმი
36. პალმის ერთ-ერთი სახეობა
37. ერთი წერტილი კამათელზე
38. ნიანგის მსგავსი ქვეწარმავალი
39. სამოთხის ბაღი
40. ქიმიური ელემენტი, მეტალი
41. ინდოეთში მცხოვრები ხალხი
42. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა
43. ქარების მბრძანებელი ბერძ. მით.
44. ვიტამინის ნაკლებობით გამოწვეული დაავადება
45. ქალის ვარცხნილობის ფორმა
46. აპრილის ძველქართული სახელწოდება
47. შტატი აშშ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში
48. უარყოფითად დამუხტული ნაწილაკი
49. გასესხებული კაპიტალის სარგებლით მცხოვრები
50.მეცნ. ცხოველთა შინაგანი აგებულების შესახებ
51. ჩაის ბუჩქის ახალგაზრდა ყლორტი
52. კურკოვანი ხილი
53. ქართული მინერალური წყალი
54. ქართული სპორტული გაზეთი
55.ლუჩანო პავაროტის სასიმღერო ხმა
56. პატარძლის თავსაბურავი
57.ივივეა, რაც სახელური
58.მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარისკაცი ძველი საბერძნეთის არმიაში
59. გამომწვარი თიხის ნაირსახეობა
60. დარტანიანის სატრფოს გვარი
61. მწერალი ... იოსელიანი
62. ლეგენდარული ბრაზილიელი ავტომრბოლ.
63. ნაპოლეონ ბონაპარტეს ერთ-ერთი მარშალი
64. ომანის დედაქალაქი
65. თავადის ტიტული ინდოეთში
66. კორეული ავტომარკა
67. აბრეშუმის ჭიის თესლი
68. ლევ ტოლსტოის „... კარენინა“
69. მზის ღმერთი ძველ ეგვიპტეში
70. ძველი ფრანგული ხურდა ფული
71. საქართველოს ყველაზე წყალუხვი მდინარე
72. ბაშკირეთის დედაქალაქი
73. ავსტრიელი დირიჟორი ფერბერტ ფონ ...
74. სანელებელი მცენარე
75. გაზაფხულის ყვავილი
76. წარსულში ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი
77. ებრაელთა წინამძღოლი
78. ოქროს ან ვერცხლის ძაფი
79. მუსიკალური გამის VI ნოტი
80. ზღაარული გრძნეული ქალი



ღეროვან უჯრედებს ახალი მეთოდით მიიღებენ

ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიაში განაცხადეს, რომ სწავლულებმა ღეროვანი უჯრედების გადაპროგრამებისა და არაემბრიონული მასალისგან მიღების ახალი მეთოდი აღმოაჩინეს. ცოტა ხნის წინ ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ აუტოფაგია — უჯრედების გენერირების პროცესი, არ ასრულებს ისეთ მნიშვნეოლოვან როლს გადაპროგრამებაში, როგორც ადრე მიაჩნდათ. აუტოფაგია ანუ უჯრედის მიერ საკუთარი თავის შთანთქმა — უჯრედული კომპონენტების ნაწილობრივი დეგრადირების პროცესია, რაც შიმშილით ან დაზიანებითაა გამოწვეული, რათა შემდგომ დანაკლისს თავი ავარიდოთ. ის უჯრედები, რომლებიც არ დაემორჩილნენ აუტოფგიას, გაცილებით ეფექტურად გადაპროგრამდებიან და ნორმალური თვისებები აქვთ, — აცხადებენ ჩინელი ბიოლოგები.

სუდოკუ

ადვილი

		2			6			7
1					8	9		
			3			5	2	
	5					2		1
3				5				4
6		1					9	
	3	4			7			
		9	4					2
7			6			4		

სტანდარტი

8				9				
	5						1	
3		9		5	8	7		
7			9			4		
		2				3		
		8			1			7
		7	5	6		9		8
	9						4	
				4				6

რთული

9				2			8	
6	3		8					2
	1		4					3
					2			
1		5	9		6	4		7
			1					
8					4		5	
5					8		6	4
	2			7				8

ექსპერტი

					8	1		6
					5			4
		6		1			3	2
		7	8				6	
		4		3		7		
	3				1	2		
5	9			2		6		
4			9					
1		8	5					

სამდივლომიანი 11 წლის ვუნდერკინდი

აშშ-ს ქალაქ საკრამენტოს მცხოვრებმა, 11 წლის მოზარდმა ტანიშ აბრაჰამმა სამი დიპლომი მიიღო. სასწავლო დაწესებულებაში ბიჭი ერთი წლის განმავლობაში მათემატიკას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს და უცხო ენებს სწავლობდა. პატარა კურსდამთავრებული ამბობს, რომ სურს, მომავალში სტენფორდის უნივერსიტეტში ისწავლოს, ექიმი, სამედიცინო მკვლევარი და ამერიკის პრეზიდენტი გახდეს. პირველ რიგში კი ბაკალავრის ხარისხის მიღებაზე იზრუნებს. აბრაჰამი ცნობილი ჯერ კიდევ შარშან გახდა, როცა 10 წლისამ საშუალო სკოლა დაამთავრა, ატესტატის აღება მას ბარაკ ობამამაც მიულოცა. ტანიში ინდოელი ამერიკელების ოჯახიდანაა, მამამისი პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინრად მუშობს, დედა კი ვეტერინარია. არაორდინარული უნარებით გამოირჩევა ბიჭის უმცროსი და ტიარაც. ოთხი წლისა, ძმასავით, Mensa-ს (საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ინტელექტის მაღალი კოეფიციენტის მქონე ადამიანებს აერთიანებს) წევრი გახდა.

ჩინეთში ყალბი ბრინჯი გამოჩნდა

ჩინეთში გაყიდვაში გამოვიდა ყალბი ბრინჯი. მარცვალი, რომელიც კარტოფილისა და ხელოვნური რეზინის ნარევისგან შედგება, ქალაქ ტაიუანის ბაზრებში იყიდება. ადგილობრივი გამოცემა აღნიშნავს, რომ ყალბი ბრინჯი ვიზუალურად ძალიან ჰგავს ნამდვილს, თუმცა ექსპერტები მყიდველებს აფრთხილებენ, რომ მისი მოხმარება საჭმლის მომნელებელ სისტემას გამოუსწორებელ ზიანს აყენებს. პრესაში აღნიშნავენ, რომ მას შემდეგ, რაც ქვეყნის ხელისუფლებამ გაყალბებული მარცვლეულის თაობაზე აცნობა მოსახლეობას, პროდუქცია ჩინეთიდან მეზობელ ქვეყნებშიც გავრცელდა — ინდოეთში, ინდონეზიაში, ვიეტნამში. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, ყალბი ბრინჯის აღმოჩენა ადვილი შესაძლებელია, რადგან მოხარშვის შემდეგ კვლავ მაგარი რჩება და სუპსაც დამწვარი პლასტმასისთვის დამახასიათებელი, უსიამოვნო სუნი აქვს.

„მაკდონალდსი“ ჰამბურგერის გარეშე

საფრანგეთის დედაქალაქში „მაკდონალდსის“ პირველი რესტორანი გაიხსნა, სადაც მხოლოდ სალათი და სასმელი იყიდება. თუ ეს წამოწყება გაამართლებს, სწრაფი კვების რესტორნების ქსელი მალე მთელ ქვეყანაში კიდევ რამდენიმე ობიექტს გახსნის სალათბარით, სადაც ჰამბურგერისა და კარტოფილი-ფრის ნაცვლად, მხოლოდ სალათი, წვენი და ყავა გაიყიდება. ახალი რესტორანი, რომელიც პარიზის საქმიან რაიონში გაიხსნა, ამ ბრენდის ობიექტისთვის ცოტა უცნაურად გამოიყურება. აქ კლიენტებს შეუძლიათ აირჩიონ სალათი კლასიკური რეცეპტით ან თავად შეაზავონ, გემოვნებით. განსაკუთრებით მოუცლელებს რესტორანი ოლნაინშეკვეთებსაც სთავაზობს. როგორც მედიაში აღნიშნავენ, ამ წამოწყებით, „მაკდონალდსი“ სამი კურდღლის ერთდროულად დაჭერას აპირებს — ყვება ფრანგულ მოდას, რომელიც ჯანსაღ პროდუქტზეა ორიენტირებული, კონკურენციას უწევს „სტარბაქსს“, რომელიც კლიენტებს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტით იზიდავს და ზრდის თანხას, რასაც მომხმარებელი რესტორანში ტოვებს: ჩვეულებრივ „მაკდონალდსში“ მზა სალათი 2,5-დან 6 ევრომდე ღირს, ახალში კი ნებისმიერი სალათის ფასი 7 ევრო იქნება.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

5	6	8	7	9	3	4	2	1
7	4	9	2	1	8	6	5	3
3	2	1	6	5	4	9	8	7
4	9	6	8	7	5	1	3	2
8	5	2	4	3	1	7	9	6
1	7	3	9	2	6	8	4	5
9	3	7	1	8	2	5	6	4
6	1	5	3	4	9	2	7	8
2	8	4	5	6	7	3	1	9

სტანდარტი

8	4	3	2	1	7	6	9	5
5	7	2	9	4	6	3	1	8
6	1	9	8	5	3	7	4	2
4	5	8	1	3	2	9	7	6
2	9	1	7	6	8	5	3	4
7	3	6	5	9	4	2	8	1
1	8	5	6	7	9	4	2	3
3	6	7	4	2	1	8	5	9
9	2	4	3	8	5	1	6	7

რთული

3	5	2	1	8	7	9	6	4
9	4	6	2	5	3	1	7	8
1	8	7	9	6	4	2	5	3
6	9	1	8	4	2	7	3	5
5	7	4	6	3	9	8	2	1
2	3	8	7	1	5	6	4	9
8	6	5	4	2	1	3	9	7
7	2	3	5	9	8	4	1	6
4	1	9	3	7	6	5	8	2

ექსპერტი

7	5	2	6	8	4	1	3	9
9	1	4	3	5	2	8	7	6
6	3	8	1	9	7	4	5	2
5	4	3	2	7	6	9	8	1
1	2	9	8	4	5	7	6	3
8	7	6	9	3	1	5	2	4
4	9	5	7	2	3	6	1	8
3	8	1	5	6	9	2	4	7
2	6	7	4	1	8	3	9	5

მე-10 გვერდი: 1. ტრიკონი; 2. რულადა; 3. კისერი; 4. ნარდი; 5. კრატერი; 6. რეზერვი; 7. ტომატი; 8. რუტინა; 9. კლასერი; 10. იდილია; 11. უაგადუგუ; 12. მაუსი; 13. აზიმუტი; 14. ალი; 15. ინანთი; 16. მიურიდი; 17. კრუტუნი; 18. ბუდეშური; 19. გადია; 20. გნუ; 21. ბია; 22. ნალი; 23. დაიმი; 24. მენორა; 25. სია; 26. ქსილიტი; 27. „ულისე“; 28. აფსიდა; 29. დელტა; 30. როსი; 31. სამბო; 32. ვილია; 33. ნანდუ; 34. მურადა; 35. მოსე; 36. დისკუსია; 37. იოლი; 38. ალდაგი; 39. დუნია; 40. ინდიგო; 41. დოში; 42. ჰონოლულუ; 43. იაჰვე; 44. სუსანა; 45. ბელი; 46. აისი; 47. ხაო; 48. ცუსიმა; 49. რე; 50. ეშვი; 51. ორმო; 52. ერი; 53. პრაღა; 54. პაულუ; 55. აცრა; 56. ემისია; 57. ბეტა; 58. ობი; 59. იასპი.

იოკო ონომ კლინტონთან კავშირი აღიარა

ჯონ ლენონის მეუღლემ, მხატვარმა იოკო ონომ განაცხადა, რომ სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა აშშ-ს ყოფილ პირველ ლედისა და ექსსახელმწიფო მინისტრთან, ჰილარი კლინტონთან. ასეთი შოკისმომგვრელი განცხადება ცნობილმა სახემ ლოს-ანჯელესის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, ექსკლუზიური ჟურჟლის პრეზენტაციისას გააკეთა. მისი თქმით, ჰილარისთან ურთიერთობა გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო, როცა იელის უნივერსიტეტში სწავლობდა, იოკო კი მანჰეტენზე ცხოვრობდა, თუმცა რომანი ორიოდე თვეში დასრულდა. ამ განცხადების შემდეგ პოლიტოლოგებმა ივარაუდეს, რომ სენსაციური ახალი ამბავი ნეგატიურად აისახება აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატის, კლინტონის რეიტინგზე. თავის მხრივ, იოკო ონო ამტკიცებს, რომ არჩევნებზე სწორედ ექსშეყვარებულს მისცემს ხმას და მზადაა, მონაწილეობა მიიღოს წინასაარჩევნო კამპანიაში.

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაზოგეთ წელიწადში 300 ლარი

ბინა – 60 ლარი
აგარაკი – 100 ლარი

ბინას + აგარაკი = 135 ლარი

დაცვის პოლიციის მიერ დაცული საგარაკე ზონებია:

წყნეთში, ბეთანიაში, კოჯორში, საგურამოში, შინდისში, ტბახმელაში, ოქროყანაში, წავკისში, ბორჯომში, ბაკურიანში, კვარიათში, ურეკში, გონიოში, სარფში, ნაბახტარში, მისაქციელში, ჟოპორტში, ბულაჩაურში, არაგვისპირსა და წითელსოფელში.

www.125.ge SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაიცავით თქვენი ქონება თანამედროვე დაცვითი სისტემებით

დაცვის პოლიცია თავის საქმიანობას მაღალი კლასის სატრანსპორტო საშუალებებით ახორციელებს. დედაქალაქსა და რეგიონებში მოქალაქეთა უსაფრთხოებას ოპერატიული რეაგირების 60 ეკიპაჟი ემსახურება.

ლაიჯესტი

გახდომისთვის უნიკალურ სასმელს ამზადებენ

შვეიცარელმა მეცნიერებმა განაცხადეს, რომ ახალ სასმელზე მუშაობენ, რომლსაც შეეძლება ზედმეტ წონას ფიზიკურ ვარჯიშებზე უკეთ შეებრძოლოს. მათ აღმოაჩინეს ენზიმი AMPK, რომელიც არეგულირებს მეტაბოლიზმს და საშუალებას იძლევა, დაიწვას ცხიმის მარაგი. ამჟამად კვლევები სასმელის შექმნაზე მიმდინარეობს, რომელმაც ორგანიზმში ეს ენზიმები უნდა გააააქტიუროს. სწავლულთა განცხადებით, სასმელის ერთი ულუფა დააჩქარებს მეტაბოლიზმს და ცხიმების დაწვას ისევე ძლიერად, როგორც 40-წუთიანი გასეირნება ველოსიპედით, თუმცა მოძრაობის სრულად შეცვლას ვერ შეძლებს: მისი მეშვეობით რომ გახდეთ, მაინც მოგიწევთ სირბილი. როდის გამოჩნდება ეს სასწაულმოქმედი სასმელი, ჯერჯერობით, უცნობია — აუცილებელია მრავალმხრივი ტესტირება, რაც რამდენიმე წელიწადს გაგრძელდება.

სიყვარული ალკოჰოლივით ათრობს

აღმოჩნდა, რომ ბედნიერებისა და სიყვარულის ჰორმონი — ოქსიტოცინი ადამიანის ტვინსა და ორგანიზმზე ისევე ზემოქმედებს, როგორც ალკოჰოლი. ჰორმონები ზემოქმედებს ტვინის წინა ქერქზე და ემოციის ცენტრზე, ეს უბნები კი პასუხისმგებელია იმაზე, როგორ გადააქვს ადამიანს სტრესი და შიში რთულ სოციალურ სიტუაციაში — მაგალითად, გასაუბრებაზე ან პაემანზე. ოქსიტოცინიც დ ალკოჰოლიც ამ ამოცანებს ადვილად დასაძლევს ხდის, — ამბობენ ბრიტანელი მეცნიერები ბირმინჰემის უნივერსიტეტიდან.

როდის იწყება ტვინის დაბერება

ადამიანის ტვინი დაბრებას 43 წლის ასაკში იწყებს, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ სწავლულები მორიგი კვლევების შემდეგ. ექსპერიმენტებში 40-დან 70 წლამდე ასაკის, 7 ათასი მოხალისე მონაწილეობდა. ისინი ანკეტას ავსებდნენ და თავის ტვინის გამოკვლევას იტარებდნენ. შედეგად აღმოჩნდა, რომ სწორედ 43 წლის ასაკში იწყებს დაქვეითებას გონებრივი შესაძლებლობები. 45 წლის მოხალისეთა 60%-ს ნაწილობრივ ავიწყდებოდა ინფორმცია, 50 წლისებს კი უჭირდათ მეორე ადამიანის საუბრიდან აზრის გამოტანა. ამასთან ერთად აღინიშნა ტენდენცია, რომ მამაკაცები უფრო სწრაფად და ადრე კარგავენ თავის ტვინის აქტიურობას, ვიდრე ქალები. სპეციალისტები ამბობენ, რომ ეს ერთ ფაქტორს უკავშირდება: მოსახლეობის მდედრობითი ნაწილი უფრო აქტიურია, პასუხისმგებლიანი, უფრო მეტ ფუნქციას ასრულებს და ეს არ აძლევს მათ ტვინს საშუალებას, მუშაობის აქტიურობა შეამციროს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.